


K 243036  
3

სამხალისო ცენტრი

საქართველო  
ბიბლიოთეკა



სამეგრელოს  
სამთავროს  
ისტორია

2001

F8111  
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ბუგდილის ფილიალი



აბესალომ ტულუში

სამეგრელის  
სამთავროს  
ისტორია  
(მოკლე კურსი)

ბუგდილი  
2001

წიგნი იბეჭდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბუგდიდის ფილიალის სამოგადობრივ  
მეცნიერებათა კათედრის რეკომენდაციით,  
დამხმარე სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის  
ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

რედაქტორი: გონელი არახამია  
ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მაზა მიქაძე  
ალინა შელია  
შალვა იაშვილი  
მაზა ქარდავა

საგ-2000  
შემოწმებულია

ISBN -99928-0-142-5

საქართველო  
პარლამენტი  
ქვეყნული  
ბიბლიოთეკა



აბესალომ ტულუში

# სამეგრელოს სამთავროს ისტორია

(მოკლე კურსი)

ზუგდიდი  
1999

რედაქტორი: ბონელი არახამია

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ბამომცემელი: ბონელი პაპავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ზაზა მიქაძე  
ალინა შეღია  
შალვა იაშვილი  
ზაზა ქარდავა

იბეჭდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის რეკომენდაციით, დამხმარე სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## წინასიტყვა

დღემდის ერთადერთ წიგნს, სადაც ოდიშის სამთავროს პოლიტიკური და სოციალური ისტორია გაბმულადაა წარმოდგენილი მისი წარმოშობიდან-1545 წლიდან გაუქმებამდე - 1867 წლამდე, წარმოადგენს შესანიშნავი მეცნიერის, პროფ. სერგი მაკალათიას „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ (თბ. 1941), მაგრამ მასში სამეგრელოს სამთავროს ისტორიის ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი ვერ აისახა, არაერთი საკითხი იმ წყაროებზე დაყრდნობით, რომლებიც სერგი მაკალათიას არ ჰქონდა ხელთ ან შემდეგ გამოვლინდა და გამოქვეყნდა, სხვაგვარად წარმოჩნდა.

ოდიშის სამთავროს ისტორიის ცალკეული მონაკვეთი ისეთი სიღრმითაა შესწავლილი, რომ მასში მხოლოდ არაარსებითი შესწორების შეტანაღაა შესაძლებელი. ეს ეხება უწინარესად ყოვლისა ლევან მეორე დადიანის ზეობის ხანას, რომელიც შესაშური მეცნიერული სიღრმითაა შესწავლილი პროფ. ილია ანთელავას მიერ ნაშრომში „ლევან II დადიანი“, რომელიც 1990 წელს გამოიცა.

საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხი პროფ. ალ. ფირცხელაიშვილის ნაშრომში „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (თბ. 1955)

მეცნიერული სიღრმით გამოირჩევა პროფ. მამია დუმბაძის ნაშრომი „დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში“ (თბ. 1957), რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი შესაბამისი ხანის სამეგრელოს სამთავროს ისტორიას.

ოდიშის სამთავროს ისტორიის საკითხები გარკვეულია სხვა მკვლევართა ნაშრომებშიც, მაგრამ ამ ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გაბმული პოლიტიკური ისტორია, რომელშიც ასახული იქნებოდა ყველა ის სიახლე რაც ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში დაგროვდა ს. მაკალათიას წიგნის გამოცემიდან ნახევარი საუკუნის განმავლობაში,

დღემდის არ გამოცემულა.

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ერთ ვარიანტს ჩემი სამტომეულისა „სამეგრელოს სამთავროს ისტორია“, განკუთვნილია, როგორც უნივერსიტეტის სტიდენტებისათვის (სახელმძღვანელოდ სპეცკურსში), ასევე ჩვენი ქვეყნის ისტორიით გატაცებული რიგითი მკითხველებისათვისაც.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი აღნიშვნას წიგნის გამოცემაში ბატონ ვახტანგ კვარაცხელიას დიდი წვლილისა.



# 1. ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცხოვრება 1545-1867 წლებში

ოდიშის საერისთავო, რომელიც საქართველოს სამეფოს ერთერთ საერისთავოს წარმოადგენდა და რომლის გამგებელს (ერისთავს) თვით მეფე ნიშნავდა, XV საუკუნეში ქართული ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, იმერეთის მეფის ხელდუბულ ადმინისტრაციული ხასიათის მქონე პოლიტიკურ წარმონაქმნს წარმოადგენდა. ოდიშის ერისთავები იმავდროულად იმერეთის მეფის კარის მოხელენი-მანდატურუხუცესებიც იყვნენ. მაგრამ XVI საუკუნის შუა ხანებში, ერისთავთ ერისთავმა ლევან I დადიანმა ხელი აიღო მისი როგორც მეფის ყმის ისეთ ვალდებულებებზე, როგორიც იყო ხლება (ხლება ლაშქრობისას, ნადირობისას და სხვა), უარი თქვა მანდატურუხუცესის სახელოზე, რომელიც მემკვიდრეობით ოდიშის ერისთავთა სახლის ხელში იყო და ისედაც ფაქტიურად დამოუკიდებელი, სამართლებრივადაც დამოუკიდებელი შეიქმნა. ასე წარმოიშვა კიდევ ერთი ქართული ფეოდალური სახელმწიფო-ოდიშის ანუ სამეგრელოს სამთავრო.<sup>1</sup>

მას შემდეგ რაც, 1545 წელს, სამცხეში შემოსეულ ოსმალთა წინააღმდეგ საომრად დაბარებული ოდიშის ერისთავი ლევან I დადიანი არ გამოცხადდა და ამით თავისი როგორც ხელდებულის მოვალეობა არ შეასრულა, იმერეთის მეფემ ბაგრატ III (1510-1565 წწ) თავგასულ ვასალის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას შეუდგა. “მოუწოდა მეფემან ბაგრატ ლევან დადიანსა, რეცა დარბაზობად და შეიპყრა იგი ზაკეით, რამეთუ შური აქენდა მიერ ჟამით, რაჟამს არ შეეწია ბრძოლასა ზედა ოსმალთასა და პატიმარ ჰყო.”<sup>2</sup>

ყოველივე ეს მოხდა 1548 წელს. ბაგრატ მეფემ ლევან დადიანი გელათის სამრეკლოში გამოამწყვდია. 1550 წელს სამ-

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტის ცნობით საქართველოს ეს ნაწილი „შავი ზღვის უკიდურეს ნაპირზეა“ და მას “მკვიდრნი” უწოდებენ ოდიშს და სხვები სამეგრელოს (MINGRELIA)” (იხ. მისი სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 11).  
<sup>2</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 811.



ცხის ათაბაგ ქაიხოსროს მიერ მოსყიდულმა იმერელმა თავადმა ხოლიფანდრე ჩხეიძემ დატყვევებული ოდიშის ერისთავთა ერისთავი ლევან I დადიანი ტყვეობიდან გააპარა. სამცხის, ოდიშისა და გურიის მთავრებმა კავშირი შეკრეს იმერეთის მეფის წინააღმდეგ.

ბაგრატ მეფემ თავისი ძმის, უფლისწული ვახტანგის მეშვეობით მოახერხა ოდიშისა და გურიის მთავრებს შორის უნდობლობის დათესვა და უთანხმოების ჩამოგდება.

მას შემდეგ, რაც 1555 წელს ამასიის საზავო ხელშეკრულებით, ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1694) სიტყვებით, რომ ვთქვათ “ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს,<sup>3</sup> თურქეთი დასავლეთ საქართველოს დაპყრობას შეუდგა. თურქებმა ბათუმი და მთელი აჭარა დაიკავეს. გურიის მთავარმა, რომლის საბრძანებელსაც წარმოადგენდა ამ დროს აჭარა, დახმარებისათვის ბაგრატ მეფეს და ლევან I დადიანს მიმართა - “უკეთუ მძლიონ მე, მოიწვევიან თქვენზედაცა, ამისათვის შემეწიენითო.”<sup>4</sup>

ლევან I თავისი ლაშქრით ფოთთან დაბანაკდა. ოდიშის მთავრის მოქმედებამ დიდიად შეაშფოთა იმერეთის მეფე ბაგრატ I. როსტომ I გურიელისა (1535-1564 წწ) და ლევან I დადიანის (1532-1572 წწ) გაერთიანება მას უფრო დიდ საფრთხედ ეჩვენა, ვიდრე ოსმალთა ლაშქრის მიერ ქართული მიწების დაპყრობის დაწყება. ბაგრატ მეფემ თავის ძმას, უფლისწულ ვახტანგს, რომელიც გურიელის დასახმარებლად 500 კაციანი რაზმით გაგზავნა, საიდუმლო დავალება მისცა-არ დაეშვა მათი ძალების გაერთიანება, რადგან შიშობდა, რომ თუ ისინი ოსმალებს დაამარცხებდნენ, შეიძლებოდა შემდეგ მის წინააღმდეგ დაეძრათ ლაშქარი.

სანამ ლევან I თავისი ლაშქრით ფოთში იდგა, ხოლო იმერთა მეფის ძმა ვახტანგი თავისი რაზმით საჯავახოში იყო დაბანაკებული, როსტომ გურიელმა მარტო მოახერხა ოსმალების დამარცხება და ისინი აიძულა ბათუმი დაეცალათ და უკან დაეხიათ. ამასობაში უფლისწულმა ვახტანგმა ოდიშის მთავარს

<sup>3</sup> ფარსად. გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 215.

<sup>4</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 814.

შეუთვალა: “აქვს გურიელისაგან პირი ძმასა ჩემსა, დაგვეხმოს იგი, ანუ მოგაკვდინებენ, ანუ შეგიპყრობენო.”<sup>5</sup> ლევან დედოფანი წამოეგო მეფის და მისი ძმის მიერ დაგებულ მახეზე. მან დაიჯერა ეს “ხაკულება” და თავისი ლაშქრით უკან, თავის სატახტოში გაბრუნდა. ამან კი ოსმალებს საშუალება მისცა ჭოროხის გაღმა გამაგრებულიყვნენ და „ჭანეთი და აჭარა დაიპყრეს თვისად”.<sup>6</sup>

ლევან I დადიანის ძირითადი საზრუნავი ამ დროს ჩერქეზული ტომების (აფსარების ანუ აფსუების, ჯიქების და სხვათა) გამუდმებული თავდასხმების მოგერიება იყო. ისინი ნელ-ნელა იპყრობდნენ აფხაზეთს, რომელიც ოდიშის მთავრის საბრძანებელი იყო.

ვენეციის ბაილო მარინო კავალის ცნობით, ოდიშის მთავარს ამ დროს “სისხლისმღვრელი ომი ქონდა ჩერქეზებთან.”<sup>7</sup>, რომლებშიც, ცხადია აბსარები (დღევანდელი აფხაზები) იგულისხმებიან.

უნგრეთის ელჩი ანთილ ვერანჩიჩი, რომელსაც 1553-1556 წლებში ეკავა ეს თანამდებობა სტამბოლში, წერილებში რომელსაც თავის ხელმწიფეს უგზავნიდა აღწერს ოდიშის მთავარის ლევან I დადიანის ჩასვლას ოსმალთა სატახტოში 1557 წლის თებერვლის მეორე ნახევარში. უნგრელი ელჩი ლევან დადიანს უწოდებს “სრულიად სამეგრელოს მეფეს” და დასძენს, რომ მან ეს ტიტული სულ ახლახან მიიღო.<sup>8</sup>

ლევან I დადიანი, როგორც ანთალ ვერანჩიჩი გვაუწყებს სტამბოლში ჩერქეზთა ანუ აფსართა (დღევანდელ აფხაზთა) წინააღმდეგ ომის წარმატებით წარმოებისათვის აუცილებელი ხომალდების სათხოვნელად ჩასულა. სანაცვლოდ ოდიშის მთავარი სულთანს ყმადნაფიცობას და ხარკის გადახდას პირდებოდა.<sup>9</sup>

<sup>5</sup> იქვე, გვ.814.

<sup>6</sup> იქვე, გვ.814.

<sup>7</sup> ე.მამისთვალისშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVსაუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ.,1981,გვ.150.

<sup>8</sup> ლაიოშ ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ.,1980, გვ.77.

<sup>9</sup> იქვე,გვ.78, იხ.აგრეთვე,აბ.ტულუში,ანთალ ვერანჩიჩის ცნობები ოდიშის სამთავროს შესახებ,ვაზ.„მებრძოლი“,1974,III-IX.

როგორც ერთი ქართული დოკუმენტიდან ირკვევა, ლევან დადიანს ხომალდები მიუღია. ლევან III (შამადავლე) დადიანი (1661-1681) გვაუწყებს, რომ “ძველთაგან ღიონ დადიანი სტამბოლს რომ წასულა, ხუანთქრის წინაშე ... ხუანთქრის წყალობად დადიანისთვის ხომალდები უბოძებია.”<sup>10</sup>

რადგან ლევან დადიანს ხომალდები მიუღია ცხადია, რომ ის სულთანმა თავის ყმადნაფიც ხელმწიფედ ცნო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დადიანებს ხელმწიფობას იმერთ მეფეც უნდა შეგუებოდა, რადგანაც ოდიშის მთავარს ზურგს უკან ოსმალეთის ჯერ კიდევ მძლავრი სახელმწიფო იდგა.

XVI საუკუნის 60-იან წლებში დადიანებსა და გურიელებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. როგორც ოდიშის ასევე გურიის მთავრები დასავლეთ საქართველოში პირველობისათვის იბრძოდნენ. ეს იყო მათ შორის ურთიერთობის გამწვავების მიზეზი, მაგრამ საბაბი სხვა გახლდათ, კერძოდ ის, რომ ოდიშის სამთავრო ტახტის მემკვიდრემ-გიორგი დადიანმა გააგდო ცოლი, რომელიც როსტომ გურიელის ასული იყო და თავის ბიძას ბათულია დადიანს წაართვა ცოლი “სიკეკლუცისათვის”, და თვითონ შეირთო. ამან დადიანისა და გურიელის სამთავრო სახლებს შორის შუღლი ჩამოაგდო. სამაგიეროს გადახდა გიორგი II გურიელმა დადიანებისათვის ზუსტად იმგვარივე შეურაცხყოფის მიყენებით გადაწყვიტა, როგორც მათ გურიელთა სახლი შეურაცხევს. მან არ შეიმჩნია დადიანთა სახლიდან მიყენებული წყენა და ცოტა ხნის შემდეგ ლევან I დადიანის ასული ითხოვა ცოლად. მცირე ხნის შემდეგ ეს ქალი გააგდო და იმერთა მეფის გიორგი II-ის (1565-1585), დაქვრივებული და მუსაღია შეირთო.<sup>11</sup> იმერეთის მეფის და გურიის მთავრის დამოყვრება მათ სამხედრო მოკავშირეობასაც ნიშნავდა, რომელიც ოდიშის მთავრის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

ლევან I დადიანი შეეცადა იმერეთის მეფის ტახტიდან ჩამოგდებას და მის ნაცვლად ტახტზე მისი ბიძაშვილის ხოსრო ბატონიშვილის გამეფებას. ოდიშის მთავარმა იმერეთის

<sup>10</sup> ე.თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1906, გვ. 82.

<sup>11</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ. 815.



ისეთი მსხვილი სათავადოც ჩართო თავის ამ გეგმაში, როგორც საჭილაო იყო. ხოსრო ბატონიშვილმა თავისი მომხრეები როგორც ჩანს ლევან I დადიანის ლაშქრით 1568 წელს გაილაშქრა მეფე გიორგი II-ის წინააღმდეგ, რომელიც სოფელ იანეთში ეგულებოდა, მაგრამ მეფეს ეს სოფელი წინა დღით დაეტოვებინა. ამ ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით მეფე გიორგი II გადაურჩა ტახტის მოცილის მოულოდნელ თავდასხმას, რომელიც ვინ იცის როგორ დამთავრდებოდა. გიორგი II-მ სწრაფად შეკყარა ლაშქარი და ხოსრო ბატონიშვილი იმერეთიდან გააძევა,<sup>12</sup> ამასთან მისი მომხრე იმერელი დიდებულების და ლევან I დადიანის დასჯაც გადაწყვიტა. იმერთა მეფემ და გურიის მთავარმა კავშირი შეკრეს და ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ “იწყეს შურობად და ლაშქრობად დადიანისა.”<sup>13</sup>

ლევან I კვლავ სტამბულს ჩავიდა და სულთანს შემწეობა სთხოვა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით სულთანს ოდიშის მთავრისათვის ლაშქრით შეწევნა არზრუმისა და ტრაპიზონის ფაშებისათვის უბრძანებია. თურქთა ამ ლაშქრით ლევან I სატყეპელაში დაბანაკებულა, მაგრამ გიორგი გურიელს მისთვის მოციქული გაუგზავნია, სისხლად 10000 დრაკანი მიურთმევიდა და შერიგება უთხოვნია. ორივე მოწინააღმდეგე მხარე შერიგებულან და თურქთა ეს ლაშქარიც უომრად უკან გაბრუნებულა.

ლევან I დადიანი 1572 წელს გარდაიცვალა და მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი უფროსი ძე გიორგი, რომელიც უკმაყოფილო იყო გურიის მთავართან შერიგებით. მისი ამ განწყობილების თავისი პოლიტიკური მიზნით გამოყენება გადაწყვიტა იმერთა მეფე გიორგიმ, მან გიორგი დადიანის და თავის ძეს შერთო ცოლად.

გიორგი გურიელი მოვლენების ასეთ განვითარებას გულხელდაკრეფილი ვერ უყურებდა. ის თავისი ლაშქარით სამეგრელოში შეიჭრა, ზუგდიდი აიღო და გიორგი დადიანი ტახტიდან ჩამოაგდო, ხოლო მის ნაცვლად ოდიშის მთავრად მისი ძმა მამია დადიანი დასვა. ტახტწაგვრილი გიორგი დადიანი აფხაზეთში გაიხიზნა. ეს ამბავი 1679 წელს მოხდა.<sup>14</sup>

<sup>12</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ. 816; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 410-411.

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 361.

<sup>14</sup> ქ. სიგუა, XVI საუკუნის მეორე ნახევრის ოდიშის მთავართა ქრონოლოგია, ჟ. „ენგური“, 1998 № 1-2, გვ. 209



იმერეთის მეფე შეურიგდა სამეგრელოში მამია დადიანის გამთავრებას. გიორგი დადიანს სხვა არაფერი დარჩენოდა, იშონა ლაშქარი აფხაზეთისა, ჯიქისა და ჩერქეზისა” და სამთავრო ტახტის დასაბრუნებლად სამეგრელოს გამოეშურა. თავის სიძეს და მოკავშირეს მამია დადიანს გიორგი გურიელმა ლაშქარი მიაშველა “შეიბნენ კუალად გაემარჯვა მამიას”, დამარცხებულმა გიორგი დადიანმა, რაკი ხმლით ვერაფერი გააწყო გიორგი გურიელთან მოლაპარაკების გზას დაადგა. ამში შემწეობა იმერთა მეფეს ევედრა. აღმოჩნდა, რომ გიორგი გურიელი წინააღმდეგი არ იყო გიორგი დადიანის ოდიშში კვლავ გამთავრებისა, ოღონდ მის მიერ მისთვის სისხლად მიცემული 10000 დრაჰკანის უკან დაბრუნებას მოითხოვდა. გიორგი დადიანმა გურიელს 10000 დრაჰკანის სანაცვლოდ, რომელიც ხელთ არ ქონდა ხოფი დაუთმო.<sup>15</sup>

გურიელის სახით ძირითადად საყრდენ გამოცლილ მამია დადიანს ისლა დარჩენოდა, რომ შერიგებოდა ტახტის დაკარგვას. მან მიიღო გონივრული გადაწყვეტილება - უფროსი ძმა ცნო ოდიშის ხელმწიფედ.<sup>16</sup>

XVII საუკუნის სამოციან-სამოცდაათიან წლებში გურიისა და ოდიშის სამთავროებს ხშირად უხდებოდათ ოსმალეთთან საომარი შეტაკებები. ქართველები ცდილობდნენ გონიოს ციხისა და ჭანეთის გამოგლეჯვას ოსმალთა ხელიდან, ოსმალები კი საზღვრის ჭოროხიდან რიონზე გადმოტანას ესწრაფოდნენ.<sup>17</sup>

1571 წლიდან ოსმალებმა საქართველოს ზღვისპირეთის სავაჭრო ბლოკადა დაიწყეს. 1574 წლის იანვარში, მაგალითად, თურქეთის შავიზღვისპირა ნავსადგურების ყადიებმა მიიღეს საგანგებო ბრძანება, რომლითაც მათ მკაცრად ეთხოვებოდათ ოდიშსა და აფხაზეთში საჭურვლის, თოფი წამლის, ყოველგვარი სამხედრო საქონლის შეტანის აკრძალვის უმკაცრესი დაცვა. ამ ბრძანებით ოდიშ-აფხაზეთში ზღვით გამგზავრებას სულთნის საგანგებო ნებართვა ჭირდებოდა. ეს ბლოკადა 1578

<sup>15</sup> იქვე, გვ. 210

<sup>16</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ.815-817, ქართლის ცხოვრება, II, გვ.361-362.

<sup>17</sup> ნონა ვეველია, ოდიშის სამთავროს შიგაქართული და საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, ... გვ. 19.

წლამდე გაგრძელდა.<sup>18</sup>

1578 წელს დაიწყო ირან-ოსმალეთის ახალი ომი. სტამბულის ამასის ზავით ირანისათვის მიკუთვნებული საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილისა და მთელი დანარჩენი ამიერკავკასიის დაპყრობას ესწრაფოდა. 1578 წლის 9 აგვისტოს ჩრდილის ტბასთან გამართულ ბრძოლაში ოსმალთა ჯარმა, რომელსაც ლალა მუსტაფა ფაშა სარდლობდა სასტიკად დაამარცხა ირანის არმია და სამცხე დაიპყრო, რის შემდეგაც ოსმალები ქართლსაც შეესივნენ და 24 აგვისტოს თბილისიც აიღეს.<sup>19</sup>

იმავე 1578 წლის ზაფხულში თურქთა გემებისგან შემდგარმა ხომალდიონმა, რომელსაც ჩერქეზი ჰაიდერ ფაშა მეთაურობდა, ლაშქარი გადასხა ოდიშის სამთავროს ურჩ სამფლობელოში, აფხაზეთში, კერძოდ ცხუმში და შეიქმნა ცხუმის (ანუ თურქულად სუხუმის) საბეგლარბეგო. თურქებმა აღადგინეს ცხუმის ციხე სადაც თავიანთი ციხიონი ჩააყენეს.<sup>20</sup>

1579 წელს ოსმალებმა ოდიშის სამთავროს კიდევ ერთი ნავსაყუდელი-ფოთი აიღეს, სადაც ციხე-სიმაგრე ააგეს და შიგ ციხიონი ჩააყენეს. ამის შემდეგ მათ სცადეს რიონის აყოლებით გალაშქრება და ქუთაისის აღება, მაგრამ დამარცხდნენ და ამ განზრახვაზე ხელი აიღეს.<sup>21</sup>

1580 წელს მოეწყო ხელახალი ლაშქრობა საქართველოში. ამჯერად თურქთა ლაშქარს სინან-ფაშა სარდლობდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ასაღებად მიმავალ ოსმალებს ქართველთა რაზმებმა დიდი ზიანი მიაყენეს, სინან-ფაშამ მაინც შეძლო თბილისში ალყა შემორტყმულ თურქებს მიშველებოდა, მაგრამ ეს იყო და ეს. სინან-ფაშამ ვერ შეძლო უმთავრესი ამოცანის-საქართველოს დაპყრობის შესრულება.<sup>22</sup>

სინან-ფაშამ ქართლში ლაშქრობის დროს, ქართლის მეფე სვიმონის წინააღმდეგ გამოსვლა მოსთხოვა იმერთა მეფე გიორგის. ვახუშტის ცნობით “ შემოიკრიბა გიორგი მეფემან სპანი

<sup>18</sup> Берадзе, Мореплавание... стр.125-126.

<sup>19</sup> მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1971, გვ. 95-113.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 124.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 124-125.

<sup>22</sup> ი. ტაბაღაძე, საქართველო ევროპის... I, გვ. 113.



და მოიყვანა დადიან-გურიელიცა სპითა მათითა, ვინაითგან დადიან-გურიელი დათ ერთობა და ბრძანებულებაცა იყო ხონთქრისა, მიუხდნენ შიდა ქართლს.”<sup>23</sup>

1582 წელს გარდაიცვალა გიორგი III დადიანი და სამთავრო ტახტზე კვლავ მისი ძმა მამია დადიანი ავიდა. ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ როცა გიორგი დადიანი მოკვდა და ტახტი მისმა ძმამ-მამიამ დაიკავა, გიორგი გურიელმა, რომელიც “არა დასცხრა შერიგებად გიორგი დადინსა”, ამ უკანასკნელის მცირეწლოვანი ძე ლევანი “მოიპარა” და “პატიმარ ყო ციხესა შინა შხეფისასა, განზრახვითა მამია დადინისითა, ხოლო ყმა იგი უთმინობითა ტყვეობისათა გარდმოიჭრა ციხიდან, რეცა განლტოლუად და მოკუდა.”<sup>24</sup>

მამია დადიანმა ეს გარემოება გურიაზე გალაშქრების საბაბად გამოიყენა. ის თავისი ლაშქრით გურიაში შეიჭრა, დაამარცხა გიორგი გურიელის ლაშქარი და გურიის სამთავრო ტახტზე მის ნაცვლად დასვა “ტომი გურიელისა ვახტანგ”. გიორგი გურიელი კი იძულებული გახდა სტამბოლს გადახვეწილიყო.<sup>25</sup>

გიორგი გურიელი სტამბულს დიდი ხანი დარჩა და გურიასა და ოდიშს შორის დროებით მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა.

1583 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე გიორგი და ტახტზე ავიდა მისი 12 წლის ძე ლევანი, რომლის მცირეწლოვნობით ისარგებლა ბიძამისმა კონსტანტინემ, აჯანყდა და თითქმის მთელ იმერეთს დაუფულა. მან ხელში ჩაიგდო იმერეთის უმნიშვნელოვანესი ციხეები. ყრმა მეფე ლევანს მშველედად მამია დადიანი მოეყვინა. მისი დახმარებით მან შეძლო აჯანყებული ბიძის დამარცხება. მალე იმერთა მეფე და მისი ბიძა კონსტანტინე მორიგდნენ. ამ უკანასკნელმა საუფლისწულო ყმა-მამული მიიღო.<sup>26</sup> ყოველივე ამან ოდიშის მთავრის გავლენა დასაფლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაზარდა.

<sup>23</sup> ვახუშტი, აღწერა...გვ.819.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> ვ.გურჯია, მ.ხვანიძე, საქართველო XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973, გვ.140-141.



ვახტანგ გურიელის გარდაცვალების შემდეგ (1587წ.)<sup>27</sup> ოსმალეთს გადახვეწილი გიორგი გურიელი კვლავ გურიაში დაბრუნდა და სამთავრობო ტახტი დაიბრუნა. ამან კი გამოიწვია დასავლეთ საქართველოში შინა ომების განახლება.

ქართლის მეფე სვიმონს, რომელიც მთელი საქართველოს გაერთიანებისკენ ისწრაფოდა და რომელსაც ამ საკითხზე ოსმალეთის მხრიდან, რომელთანაც თითქოს მორიგებული იყო, წინააღმდეგობა არ ექნებოდა 1588 წელს იმერეთში გადავიდა და ლევან მეფეს შეუტია. იმერეთის მეფემ დახმარებისათვის ოდიშისა და გურიის მთავრებს მიმართა, მაგრამ ამაოდ. ამიტომ გოფანთოსთან 1591 წელს გამართულ ბრძოლაში<sup>27</sup> ქართლისა და იმერეთის მეფეთა ლაშქრებს შორის, იმერთა მეფე დამარცხდა და ლენხუმში გაიქცა. იმერეთი ქართლის მეფემ დაიკავა, მაგრამ როგორც კი სიმონ მეფე თბილისში დაბრუნდა, ლევან მეფემ კვლავ დაიკავა სამეფო ტახტი. იმერეთის მეფე ოდიშის მთავარს ვერ პატიობდა გოფანთოს ბრძოლაში არ მიშველებას. ლევან მეფესა და ოდიშის მთავარს შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ ბოლოს ომით დამთავრდა. მამია IV დადიანი ქუთაისს დაესხა თავს და იმერთა ჭაბუკი მეფე დაატყვევა. დატყვევებული ლევან მეფე შხეფის ციხეში იქნა გამომწყვდეული, სადაც გარდაიცვალა კიდევ ტყვეობაში.<sup>28</sup>

იმერეთის სამეფო ტახტზე მამია IV დადიანის დახმარებით კონსტანტინე უფლისწულის ძე როსტომი ავიდა. ოდიშის მთავარის ზეგავლენა იმერეთის სამეფოს საქმეებზე კვლავ გაძლიერდა. გურიის მთავარმა მას იმერეთის სამეფო სახლის მეორე წევრი ბაგრატ თეიმურაზის ძე დაუპირისპირა. გურიელმა ცოტა ხნით ბაგრატის სამეფო ტახტზე აყვანაც კი შეძლო. მაგრამ ამას იმერეთის საქმეებში ქართლის მეფის სვიმონ I -ის ხელახალი ჩარევა მოჰყვა. ქართლის მეფემ კვლავ ილაშქრა იმერეთში, ბაგრატ მეფე დაატყვევა, ქუთაისის ციხეში კი თავისი ციხიონი ჩააყენა.

მამია IV დადიანმა ოდიშს შეხიზნული როსტომ მეფე

<sup>27</sup> ქ. სიგუა, გოფანთოსა და ოფშკვითის ბრძოლების თარიღისათვის, ე. „საქართველო“, 1998, №4, გვ. 30  
<sup>28</sup> ნ. ფველია, ოდიშის სამთავროს შიგა ქართული და საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, ქუთ. 1995, გვ. 22.





კვლავ აღადგინა იმერეთის სამეფო ტახტზე. ყოველთვის იმერეთში ქართლის მეფის ახალი ლაშქრობა მოჰყვა. მან იმერეთს უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრეები (მათ შორის ქუთაისის ციხეც) დაიკავა. როსტომ მეფემ კვლავ ოდიშს შეაფარა თავი. ქართლის მეფემ თავისი ლაშქარი ოდიშისკენ დაძრა, იმ მიზნით რომ ხელთ ეგდო ტახტწაგვრილი იმერთა მეფე. მაშია დადიანს, რომელსაც იმერთა სუსტი მეფის მეზობლობა უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე გაძლიერებული ქართლ-იმერეთის მეფე სიმონ I, რომელსაც ამ უკანასკნელს ელჩების პირით როსტომ მეფის შეწყალება სთხოვა. მაგრამ სიმონ I-მა ოდიშის მთავრის თხოვნაზე უარი განაცხადა და მეფე ყოფილი როსტომის გაცემა მოითხოვა.

მაშია IV დადიანმა ამ უარს იმით უპასუხა, რომ თავისი ლაშქარით მოულოდნელად თავს დაესხა ოდიშში სალაშქროდ გამზადებულ და ოფშკვითში დაბანაკებულ ქართლის მეფეს, რომლის მრავალრიცხოვანი ლაშქარი გარეგნულად ჩანდა ძლიერი, რადგან მასში ქართლის მეფის ესოდენი გაძლიერებით შეშფოთებული მრავალი ფეოდალი იყო. ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს, რომ ისინი მეფეს ატყუებდნენ – დადიანი გეახლებათო, დადიანს კი წერდნენ – თავს დაგვესხითო, არ შემოგებმებითო.” ამგვარმა დალატმა სიმონ I ოფშკვითის ბრძოლაში დასამარცხებლად გაწირა. მაშია IV დადიანმა სასტიკი მარცხი აგემა ქართლის მეფეს.<sup>29</sup> ოდიშის მთავარს ხელში ჩაუვარდა ზარბაზნები და დიდძალი საჭურველი.<sup>30</sup> ქართლის მეფე იძულებული შეიქმნა ხელი აეღო იმერეთის შეერთების გეგმაზე. ასე დამთავრდა საქართველოს გაერთიანების კიდევ ერთი ცდა მარცხით.

ერთ-ერთი მინაწერის ცნობით ოფშკვითის ბრძოლა, სადაც ქართლისა და ოდიშის ჯარები შეიბნენ და “ოდიშართ გაემარჯვა 1591 წელს მომხდარა.”<sup>31</sup> ბერი ეგნატაშვილის ცნობით

<sup>29</sup> ზოგი წყარო ოფშკვითის ომში სიმონ მეფის მოწინააღმდეგე ოდიშის მთავრად მანუჩარ I დადიანს მიიჩნევს, მაგრამ როგორც ჩანს ეს შეცდომაა (ქ. სიგუა, XVI საუკუნის მეორე ნახევრის ოდიშის მთავართა ქრონოლოგია, გვ. 211)

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 533.

<sup>31</sup> ე.თაყაიშვილი, საისტორიო მასალები, წ. II ტფ., 1913, გვ. 45.



კი 1593 წელს. როგორც ირკვევა უფრო სწორი ეს უკანასკნელი თარიღია.<sup>32</sup> 1596 წელს მამია IV დადიანი გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძე მანუჩარ I ავიდა.<sup>33</sup>

1611 წელს მანუჩარ დადიანი ნადირობისას ერთერთ თავის ამაღლის წევრს შეეჯახა, ცხენიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. მომაკედავმა მთავარმა დიდებულები იხმო და მთავრად თავისი 14 წლის ძე ლევან II გამოაცხადა. მის სრულწლოვანებამდე კი სამთავროს მართვა თავის ძმას გიორგი ლიპარტიანს დაავალა.

1612 წელს, ირან-ოსმალეთის მორიგი ომის დამთავრებისთანავე, სტამბულმა გურიისა და ოდიშის მთავრების დასჯა გადაწყვიტა მათ მიერ 1609 წელს თურქთა მიერ დაპყრობილ აჭარაში ლაშქრობის და იქიდან თურქთა განდევნის გამო. განრისხებულმა სულთანმა გურიასთან და ოდიშთან ვაჭრობა აკრძალა და ამ გზით საქართველოსათვის აუცილებელი საქონლის შეტანა შეაფერხა.

ოდიშისა და გურიის სამთავროებმა 1614 წელს სტამბულში საგანგებო ელჩები გაგზავნეს და ზავის დადება ითხოვეს. ოსმალეთის ხელისუფლება დიდ ხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა ზავზე დათანხმებულიყო და ქართველ მთავრებთან მოსალაპარაკებლად ელჩად ომერ-ფაშა გაგზავნა.<sup>33</sup> თურქთა მიერ შემოთავაზებულ ზავის პირობებს გურიის მთავარი დათანხმდა და 1614 წლის 13 დეკემბერს მან ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას. მალე, 1615 წლის თებერვალში, მერკულაში ამგვარ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ლევან II დადიანმაც, რომელიც 1614 წლიდან უკვე დამოუკიდებლად მართავდა სამთავროს.<sup>34</sup> ლევან II დადიანი, რომელიც ვახუშტის სიტყვებით, რომ ვთქვათ “იყო ბოროტი, ხუანჯიანი, ამაყი, მზაკვარი და ძვირის მომხსენე და იმარჯვიდა ჟამთა.” დიდად ნიჭიერი, მამაცი და უტყუარი პოლიტიკური აღღოთი დაჯილდოებული კაცი იყო. ამან განაპირობა მისი ზეობისას ოდიშის სამთავროს უზომოდ გაძლიერება, იგი თავის

<sup>32</sup> ქ. სიგუა, გოფანთოსა და ოფშკვითის ბრძოლების თარიღისათვის, გვ. 31  
<sup>33</sup> მ.თამარაშვილი, ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის, თბ. 1902, გვ. 136.  
<sup>34</sup> ილია ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ. 1990, გვ. 49-50.

მიზნების მისაღწევად არაფერს თაკილობდა.

ლევან II დადიანმა თავნება აფხაზ ფეოდალთა ოდიშის სამთავრო ტახტისადმი კეთილგანწყობისა და შეძლებისდაგვარად მორჩილებაში ყოლის, მოთოკვის მიზნით 1614 თუ 1615 წელს ცოლად შეირთო თავად სეტმან შარვაშიძის ასული თანური.<sup>35</sup> 1616 თუ ამის მომდევნო წელს იმერეთის მეფე გიორგიმ თავისი ერთერთი თავადი პაატა წულუკიძე, რომელსაც ვახუშტის ცნობით “უხმობდნენ წუწკად”, რაღაცის გამო (“რისამე ზედა”) შერისხა, “მიუხუნა მამულნი და პაატა წულუკიძე ღვეან დადიანსა თანა.”<sup>36</sup> ოდიშის მთავრის კარზე პაატა წულუკიძემ დიდი გავლენა მოიპოვა. ბევრ რამეს ლევან II სწორედ მისი რჩევით აკეთებდა.<sup>37</sup> მან “უმეტებად შთაუდვა ღვეანს მტრობა გიორგი მეფისა და მარადის განუზრახვიდა.”<sup>38</sup>

მას შემდეგ რაც იმერეთის მეფისწულმა, ტახტის მემკვიდრე აღექსანდრემ თავის ცოლს, გურიის მთავრის მამიას ასულს თამარს “შესწამა...რეცა სიძუაც ქუთათელისა ვაჭრისა თანა, განუტევა...და წარავლინა ძით თვისით ბაგრატით მამისა მისისა თანა...”,<sup>39</sup> გურიის შეურაცყოფილმა მთავარმა იმერეთის წინააღმდეგ ოდიშის სამთავროსთან დაახლოების მიზნით თავისი ძისათვის, სიმონ გურიელისათვის ოდიშის ჭაბუკ მთავარს ლევან II დადიანის დის-მარიაშის ხელი ითხოვა. ლევან II დადიანს სწორედ ეს უნდოდა. გახარებულმა იმით, რომ ამ დინასტიური განქორწინებით, დაიწყო “მტრობა გურიელისა და მე-

<sup>35</sup> ამ ქორწინების თარიღად მიიჩნეოდა 1621 წელი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 302; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II თბ. 1965, გვ. 419. З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии. VI-XVII вв., Сух. 1959, гв. 262) მაგრამ პროფესორებმა თ. ბერაძემ და ი. ანთელავამ დამაჯერებლად ცხადვეს, რომ ეს ქორწინება 1614 ან 1615 წელს უნდა მომხდარიყო (ი. ანთელავა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, „საისტორიო კრებული“, ტ. V, თბ., 1976. გვ. 116-118. თ. ბერაძე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, თბ. 1964, 122.

<sup>36</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 825.

<sup>37</sup> ა. ტულუში, ოდიშის სამთავროს ვეზირი პაატა წულუკიძე, ჟ. „მაფშალი“, 1997, №2, გვ. 154-159.

<sup>38</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 826.


<sup>39</sup> იქვე.



ფისა," ვახუშტის ცნობით "მისცა დაი თვისი სიმონს ძესა გუგუნი რიელისასა."<sup>40</sup> ასე დაიწყო ოდიშის მთავრის ბრძოლა იმერეთის მეფის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომლის საბოლოო მიზანს, როგორც ჩანს ლევან დადიანის სკიპტრის ქვეშ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება წარმოადგენდა. კარგად ჭკვრეტდა რა ოდიშის და გურიის სამთავროთა დაახლოების მოსალოდნელ შედეგს, იმერეთის მეფემ დასწრება გადაწყვიტა და ლაშქრის შეყრას შეუდგა, მაგრამ ლევან დადიანმა სწრაფად შეჰყარა ოდიშის ლაშქარი, რომელშიც აფხაზებიც იყვნენ და ჯიქებიც, და 1621 წელს იმერეთში შეიჭრა. ბრძოლა მოხდა ქუთაისის ახლოს, გოჭოურასთან, ოდიშის მთავარმა პირველი სასტიკი მარცხი აგემა იმერეთის მეფეს,<sup>41</sup> რომელიც იძულებული იყო ბრძოლის ველიდან გაქცეულიყო.<sup>42</sup>

ნებიერ აფხაზ თავად სეტმან შარვაშიძის ასულ თანურიაზე ქორწინება, რომელსაც აშკარად პოლიტიკური სარჩული ჰქონდა, თანამეცხედრულ სიყვარულში ვერ გადაიზარდა. ლევან II დადიანს თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი გამზრდელის, ასაკოვანი ბიძის გიორგი ლიპარტიანის ახალგაზრდა ლამაზი ცოლი ნესტან-დარეჯან ჭილაძე. 1622 წელს, იმერეთის მეფეზე გამარჯვებით საკუთარ ძლიერებაში დარწმუნებულმა ლევან II დადიანმა, თავის თანამეცხედრეს, დედოფალ თანურიას ვეზირ პაპუნა ანჯაფარიძესთან.<sup>43</sup> ღალატი შეწამა,<sup>44</sup> ცხვირი დაატყრა, აფხაზეთი დალაშქრა და იქ დატოვა. იქიდან

<sup>40</sup> იქვე.  
<sup>41</sup> გოჭოურის ბრძოლის თარიღად 1623 წელი იყო მიჩნეული, პროფ. ილია ანთელავამ კი ეს ბრძოლა 1621 წლით დაათარიღა, რაც ვფიქრობ უფრო სწორი უნდა იყოს. (ილია ანთელავა ლევან II დადიანი, გვ. 58-62).  
<sup>42</sup> კ. გრიგოლია, ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა, ენიციკის მოამბე, ტ. XIII, თბ. 1943, გვ. 149.  
<sup>43</sup> ის ვეზირი ვისთანაც ღალატი დასწამა ლევან II დადიანმა თავის მეუღლეს თანურია შარვაშიძეს, მკვლევარებს შეცდომით მერაბ ქორთოძე ეგონათ, მაგრამ დადგინდა, რომ ის ყოფილა პაპუნა ანჯაფარიძე (ა. ტულუში, ერთი უცნობი ხატის წარწერა ანუ ლევან დადიანის მიერ დასჯილი ვეზირის ვინაობა. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VIII, თბ., 1993, გვ. 169-172).  
<sup>44</sup> თან შარდენის მოგზაურობა, ფრანგულიდან თარგმნა... მზია მგალობლი-შვილმა, თბ. 1975. გვ. 233.





მობრუნებულმა ბიძას ცოლი წაართვა და თვითონ შეირთო. ლევან II-ის ამ უზნეო და მკრეხელური საქციელის გამო სამეგრელო შინაომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ბედად გიორგი ლიპარტიანი დარდისაგან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.<sup>45</sup>

ლევან II დადიანის მიერ თანურია შარვაშიძისადმი გამოჩენილმა სისასტიკემ და მისმა თავიდან მოშორებამ დალატში ბრალდებით, სამეგრელოს მთავრის ურთიერთობა თავის ისედაც ურჩ ხელდებულებთან-აფხაზებთან კიდევ უფრო გაამწვავა. შეურაცხყოფილი აფხაზები ოდიშის მთავარს გადაემტერნენ. დაიწყო აფხაზთა განუწყვეტელი თავდასხმები მომიჯნავე მეგრულ სოფლებზე.

ლევან II-ის გაძლიერებით შეშფოთებული გურიის მთავარიც მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. ნაწილი ოდიშელი დიდებულებისა, რომლითაც სახელოწაგვრილი და სამეთვალყუროდ გურიის მთავრისათვის გაგზავნილი ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძე თავკაცობდა, შეითქვნენ და ლევან II-ის მოკვლა და მის ნაცვლად მისი ძმის იოსების (იესეს) გამთავრება გადაწყვიტეს. მაგრამ შეთქმულება დამარცხდა, რადგან მთავარი ბედად გადარჩა, ის მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა.<sup>46</sup> ლევან II სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს, ნავეზირალი პაპუნა ანჯაფარიძე ჯერ დაახრჩვეს, შემდეგ მისი გვამი ზარბაზანში ჩატენეს და გასროლით ნაკუწებად აქციეს.<sup>47</sup> თავის ძმას იოსებს მთავარმა თვალები დასთხარა და მთელი ქონება ჩამოართვა.<sup>48</sup>

1625 წელს სიმონ გურიელმა მოკლა თავისი მამა, გურიის მთავარი მამია “მწოლარე სარეცველსა ზედა ძილად”<sup>49</sup> და თვითონ ავიდა სამთავრო ტახტზე.

ლევან II დადიანმა ეს გამოიყენა გურიაში გალაშქრების საბაბად. “შეკრიბა სპანი და მივიდა ლანჩხუთს, მიზეზჰყო და მიუთხრა სვიმონ გურიელსა, ვინაითგან მოჰკალ მამა შენი, არღარა მნებაჲს მოყურობა შენი, მომეც დაი ჩემი და უკუნვიქცე.”<sup>50</sup>

<sup>45</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ.19.

<sup>46</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ.20.

<sup>47</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ.21.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ.826.

<sup>50</sup> იქვე, გვ.827.

სვიმონ გურიელი ასეთ შეურაცმყოფელ წინადადებასზე (ცხადია არ დათანხმდა, შეჰკრიბა ლაშქარი და ლევან II-ს შეე-  
ბა. ოდიშის მთავარმა სასტიკად დაამარცხა გურიის ლაშქარი.  
სიმონ გურიელი ტყვედ ჩაუვარდა დადიანს, რომელსაც მისი  
ბრძანებით თვალები დათხარეს.

ტახტიდან ჩამოგდებული სიმონ გურიელის ნაცვლად  
ლევან II-მ გურიის სამთავრო ტახტზე დასვა აფხაზეთის კათა-  
ლიკოსი მალაქია გურიელი, რომელიც ოდიშის მთავრის ანგა-  
რიშით მისი ყურმოჭრილი მონა უნდა გამხდარიყო და ასეც  
მოხდა, რადგან მალაქიას, როგორც დასავლეთ საქართველოს  
საეკლესიო ხელისუფლის კუთვნილი 24 მამულიდან 18 ოდი-  
შის სამთავროში იყო და ლევან II-ისადმი ურჩობის შემთხვევა-  
ში თავისი შემოსავლის უმთავრეს ნაწილს კარგავდა. ამ გზით  
ლევან II დადიანმა გურიის სამთავრო თავისი სამთავროს პოლი-  
ტიკურ დანამატად აქცია.

კათალიკოსი მალაქია გურიელი გურიის მთავრად გარ-  
დაცვალებამდე -1639 წლამდე იჯდა. მისი გარდაცვალების შემ-  
დეგ ლევან II დადიანმა გურიის მთავრად დასვა ვახტანგ გური-  
ელი, რომელიც მალე (1640წ) გარდაიცვალა. ლევან II-მ გური-  
ის მთავრად ამჯერად თავისი ნახევარდის-მარიამ დადიანის  
ნახევარძმა ქაიხოსრო გურიელი დასვა. გურია ლევან II-ის  
სიკვდილამდე დარჩა ოდიშის მთავრის მორჩილ სამფლობელოდ.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, “იმ დროს, როცა და-  
დიანი გართული იყო თავისი ძმისაგან დაწყებული ამბოხის  
დაცხრომის საქმეში,” აფხაზები განუწყვეტლივ თავს ესხმოდ-  
ნენ მოსაზღვრე მეგრულ სოფლებს, რომელთა მკვიდრნიც ტყვედ  
მიჰყავდათ.<sup>51</sup>

როცა გურია თავის მორჩილ სამთავროდ იქცა, ლევან II  
გათავხედებული აფხაზების აღაგმვას შეუდგა. მან რამდენჯერ-  
მე წარმატებით ილაშქრა მათ წინააღმდეგ. ამ ლაშქრობების  
შესახებ თვითონ ლევან II მოგვითხრობს მისი ბრძანებით მოჭედ-  
ილ ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში: “ მიუხედით  
შარვაშიძეს ზუფუს, მუწუს წყალს აქეთ ავაოხრეთ. კიდევ მი-  
უვედით ზუფუს, კაპოეტის წყლის აქეთ სრულებით დავსწვით,

<sup>51</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ.22.



ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ. კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯვა და დაეხოცეთ და ზოგი ხელთ დაგვრჩა და გამარჯვებული მოვედით.<sup>52</sup>

აქ აღწერილი ორი ლაშქრობიდან პირველი მარი ბროსეს აზრით 1628 წელს უნდა მომხდარიყო.<sup>53</sup> მეორე კი, როგორც ირაკლი ანთელავა ფიქრობდა, 1634 წლის ახლო ხანებში (არა უგვიანეს 1635 წლისა).<sup>54</sup>

ამ ლაშქრობების შედეგად ლევან II დადიანმა შეძლო მისი ტახტის ურჩი აფხაზი ფეოდალებისა და ნებიერი თემების დამორჩილება, - აიძულა რა ისინი კვლავ ელიარებიანთ თავი ოდიშის მთავრის ყმებად. აფხაზებმა იკისრეს ხარკის გადახდა მწვეარძაღლებისა და ქორ-მიმინოების სახით, მათ აგრეთვე ევალებოდათ ოდიშის მთავრის ლაშქრობებში მონაწილეობა. ბერ ეგნატაშვილის ცნობით ოდიშის მთავარს “მორჩილებდნენ სრულიად აფხაზნი და შარვაშიძენი ყმობდნენ და ულაშქრებდნენ.”<sup>55</sup>

ფეშანგი ხითარიშვილი, რომელიც 1661 წელს სამეგრელოში იყო ნამყოფი, გვაუწყებს, რომ ლევან დადიანს აფხაზეთი ეჭირათ “ხარაჯისა მოსართმევლად” (ანუ ხარკს იღებდნენ აფხაზთაგან), ზაფხულობით ზუფუში მიდიოდა და იქ ჩერდებოდა დიდი ხნით.<sup>56</sup> აქედან აშკარაა, რომ აფხაზეთი ოდიშის მთავრის საბრძანებლო იყო, მაგრამ თავნება აფხაზი ფეოდალები და ნებიერი თემები, მოსაზღვრე მეგრულ სოფლებზე თავდასხმებს არ იშლიდნენ და ეს გასაგებიცაა, რადგან უკვე გააფსარებული აფხაზები აფსართა (აფსუების) ცხოვრების წესზე - ომითმხვეჭელობაზე იყვნენ გადასულნი და მათ ძირითად საარსებო წყაროს მეზობლებზე თავდასხმები, ძარცვა და ტყვეობით ვაჭრობა წარმოადგენდა.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ლევან II დადიანმა

<sup>52</sup> კ.კრიგოლია, ილორის წმინდა ხატის წარწერა, ენიშკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942, გვ. 154-155.

<sup>53</sup> M. Brosset, Rapports... Huitieme rapport, p. 102.

<sup>54</sup> И. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, Сухуми, 1951, стр. 96.

<sup>55</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 349.

<sup>56</sup> ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 84.



“აფხაზთა გამოუსვლელობისათვის”<sup>57</sup> ააშენა მეცნიერებათა აკადემიის კვლასურის კედლად ცნობილი თავდაცვით ნაგებობათა დიდი რიგი, რომელიც თითქმის 40. 000 ბიჯზე იყო გადაჭიმული.<sup>58</sup> ის ზღვის პირას, კელასურთან იწყებოდა და მდინარე დალიძგას სათავემდე აღწევდა.<sup>59</sup>

ეს კედელი აფხაზთა და მეგრელთა იმდროინდელი ეთნიკური საზღვრის გასწვრივ იყო აშენებული. რაც შეეხება ოდიშის პოლიტიკურ საზღვარს, ის საკუთრივ აფხაზეთსაც მოიცავდა.

თავისი ურჩი ქვეშევრდომების-აფხაზური სათავადოებისა და უბატონო თემების ხელახალი დამორჩილების შემდეგ, ლევან II დადიანის ბრძოლამ იმერეთის წინააღმდეგ ახალი ძალით იფეთქა.

ლევან II დადიანი უაღრესად მოქნილი პოლიტიკოსი იყო. 1632 წელს მან ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მიერ ირანის წინააღმდეგ მოწყობილ ქართულ სახელმწიფოთა იმ გაერთიანებულ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა თავისი ლაშქრით, რომელშიც ქართველებმა, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „განჯა-ყარაბაღი არეზამდისინ დაარბიეს და ააოხრეს“. ამ ლაშქრობაში ლევან II და იმერთა მეფე გიორგი გვერდი-გვერდ იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. მაგრამ მალე პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. ქართლში ირანის კაცი, ხოსრო-მირზად წოდებული როსტომ-ხანი გამეფდა. ამ უკანასკნელმა, რომელსაც ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა ლევან II-ის სახით, მას დის ხელი სთხოვა. ოდიშის მთავარი სიამოვნებით დათანხმდა, რადგან იმერეთის მეფის წინააღმდეგ უკეთეს მოკავშირეს ვერ იპოვიდა.

1634 წელს, იმ მიზნით რომ არ დაეშვა ლევან II დადიანის და ქართლის მეფე როსტომის დამოყვრება, რაც იმერეთის მტრულ გარემოცვაში მომწყვდევას უქადდა, იმერეთის მეფემ

<sup>57</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ.782.  
<sup>58</sup> .Ю. Воронов, В мире архитектурных памятников Абхазии, М. 1978, стр. 97-104  
<sup>59</sup> თ.ბერაძე, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, „ძეგლის მეგობარი“, №21, თბ., 1970. გვ.42-47; მისივე: ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით „მაცნე“ (ისტორიის...სერია) 1977, №3.



განიზრახა არ დაეშვა ოდიშის მთავრის დის მარიამისა და ქართლის მეფე როსტომის ქორწინება და ამ მიზნით გადაწყვიტა თავს დასხმოდა მექორწილებს, რომლებიც ბაღდათთან უნდა შეერილიყვნენ ნეფისათვის პატარძლის გადასაცემად, მაგრამ ლევან II დადიანმა დაასწრო და თვით იმერთა მეფე გიორგი იგდო ხელთ.<sup>60</sup> იმერეთის სამეფოზე თავდასხმები ოდიშის მთავარს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

თურქეთმა ძალიან მტკივნეულად აღიქვა ირანის ხელდებული ქართლის მეფისა და თავისი ყმადნაფიცი სამეგრელოს მთავრის დამოყვრება, რადგან ეს ფაქტი, თავის საწინააღმდეგო აქტად მიიჩნია. თურქეთი შავიზღვისპირეთში ყიზილბაშების (ირანელების) გამოჩენას მოელოდა. მუსტაფა ნაიმი გვაუწყებს სასაზღვრო სანჯაყების ბეგებს ებრძანათ ოსმალეთის საზღვრების დასაცავად თადარიგის დაჭერა ადანიის ბეგლარბეგის მეთაურობით.<sup>61</sup>

მართალია ლევან II დადიანი კვლავინდებურად თავს თურქეთის სულთნის ყმადნაფიც ხელმწიფედ აღიარებდა, მაგრამ უარს ამბობდა თავისი ლაშქრით თურქთა მიერ წარმოებული ომებში მონაწილეობის მიღებაზე. მაგალითად 1635 წელს, ირან-ოსმალეთის ომის დროს, თურქეთის სულთნის ბრძანებათავისი ლაშქრით მიშველებოდა ერევნის მოალყე თურქთა ჯარს-ლევან II არ შეასრულა.<sup>62</sup>

ლევან II დადიანი ერთმორწმუნე მფარველისა და მოკავშირის ძიებაში იყო, მან 1636 წელს რუსეთს ელჩად გააგზავნა ჯვარის მამა გაბრიელ გეგენავა.<sup>63</sup> 1639 წელს რუსეთის მეფემ სამეგრელოში საპასუხო ელჩობა გამოაგზავნა ფეოდორტ ელჩინის მეთაურობით, მაგრამ ამ ელჩის არასასურველმა ქცევამ, თვით ელჩობის მიმართ ოდიშის მთავარი ცუდად განაწყო, რაც საბოლოო ჯამში რუსების დიპლომატიური მარცხით დამთავრ-

<sup>60</sup> ა. ტულუში, ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბ., 1993, გვ. 11.

<sup>61</sup> მუსტაფა ნაიმი, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმნით, გამოკვლევითა და შენივნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1979, გვ. 73.

<sup>62</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა... გვ. 30-31.

<sup>63</sup> ა. ტულუში, გაბრიელ გეგენავა - უცნობი ჯვარის მამა, ჟ. „საქართველო“, 1998, გვ. 32-36



და. წერილში, რომელიც სამშობლოში გაბრუნებულ რუსულ-საქართველო ხებს ლევან II-მ გაატანა განსხვავებით იმ წერილისაგან, რომელიც გაბრიელ გეგენავას მიჰქონდა, ის უკვე დაცვა-მფარველობის ნაცვლად, ეკლესიის მოსახატავად საღებავებისა და მხატვრების გამოგზავნაზე იყო ლაპარაკი.<sup>64</sup>

ლევან II დადიანმა, რომელიც თავის სამთავროში ვაჭრობის აყვავებას ესწრაფვოდა, შეიმუშავა სამეგრელოზე გავლით ევროპასა და სპარსეთს შორის აბრეშუმის სავაჭრო გზის ამოქმედების გეგმა. ამ მიზნით მან რუხში 1636 წელს დაარსა „ქალაქი“ (როგორც მაშინ ეძახდნენ სავაჭრო-სახელოსნო ადგილს, შემდეგ დაუკავშირდა ვენეციის სავაჭრო წარმომადგენელს სტამბოლში და მიიღო კიდევ დაპირება ვენეციელი ვაჭრების სამეგრელოში გამოგზავნის შესახებ, მაგრამ ეს დაპირება დაპირებად დარჩა. ამის შემდეგ ლევან II-მ რომის პაპსაც აახლა თავისი ელჩი, მაგრამ ოდიშის მთავრის პროექტი მისმა უწმინდესობამ ყურად არ იღო. ასე დამთავრდა მარცხით ლევან II-ის ცდა აღედგინა ჩვენს ქვეყანაზე გამავალი დიდი სავაჭრო გზა.

ლევან II დადიანი 1657 წელს გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსანდრე დამბლა დაცემული, რომელიც ერთ თვეში, იმერეთის მეფის ალექსანდრე III დახმარებით ტახტიდან ჩამოაგდო ვამეყ III დადიანმა.

1658 წელს ლევან II-ის ძმისწულმა ლიპარიტ დადიანმა მცირე ხნით შეძლო ვამეყ III-ის ტახტიდან ჩამოგდება, რაშიც მას თავის მომხრე ოდიშელებთან ერთად მამიდამისი – მარიამ დედოფალი ეხმარებოდა. ამ უკანასკნელის ბრძანებით სამეგრელოში გაიგზავნა ქართლის სამეფოს ლაშქარი ზაზა ციციშვილი სარდლობით, მაგრამ იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ ბანძასთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა ლიპარიტ III და მისი შემწენი (ქაიხოსრო გურიელი და ფართ-ფაშა) და სამეგრელოს სამთავრო ტახტზე „კუალად“ ვამეყ III დასვა.<sup>65</sup>

მეფე ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთში

<sup>64</sup> ილია ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 101.  
<sup>65</sup> ა. ტულუში, ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბ. 1992, გვ. 41-42



არეულობა დაიწყო. მომაკვდავი მამის მიერ ტახტზე დასმული ერთადერთი ძე ბაგრატ IV რამდენიმე კვირაში დედინაცვალია, დარეჯან დედოფალია დაამხო და საძულველ ვერს თავლები დასთხარა. ქმრად უკანონოდ შობილი ვახტანგ ბაგრატიონი (ჭუჭუნიაშვილი) შეირთო, მეფედ გამოაცხადა და ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. მაგრამ ნაბიჭურის მეფობის არ მკადრე იმერელმა დიდებულებმა 1659 წელს შეთქმულება მოაწყვეს, რომლის ნაწილმა იმერეთის ტახტი ვამეყ III დადიანს შესთავაზა, ნაწილმა კი ქართლის მეფე ვახტანგ V-ს (შაჰნავაზს). ვამეყ III დადიანმა დაასწრო ქართლის მეფეს, დარეჯან დედოფალი და მისი ქმარი დაატყვევა და იმერეთის სამეფო ტახტი თვითონ დაიკავა. ქართლის მეფეს კი იმერეთის აღმოსავლეთი ნაწილი დაუთმო. მაგრამ ვამეყ III დადიანის მეფობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. 1661 წელს ის ტახტიდან ჩამოაგდო ვახტანგ V შაჰნავაზმა, რომელმაც იმერეთში მეფედ თავისი ძე არჩილი დასვა, ოდიშში კი ლევან III დადიანი გაამთავრა.<sup>66</sup>

თურქეთმა ირანის ხელდებული ქართლის მეფის მიერ იმერეთში თავისი ძის მეფედ დასმა იმერეთზე მისი უფლების ხელყოფად მიიღო და 1662 წლის მიწურულს, მას შემდეგ, რაც აქ არჩილ მეფის წინააღმდეგ შეთქმულება მოამზადა და ვეზირი ხოსია ლაშხიშვილი მოაკვლევინა,<sup>67</sup> იმერეთისკენ დიდი ლაშქარი დაძრა ყარსის ფაშა ასსეიდ იუსუფის სარდლობით, ჭაბუკი მეფე არჩილი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო. იმერეთის მეფედ თურქებმა დემეტრე გურიელი დასვეს,<sup>68</sup> ხოლო ოდიშის მთავარი თურქებს ეახლა, სულთნის ყმადნაფიცობა აღიარა და ხარკის გადახდაც იკისრა.

ლევან III დადიანის შუამდგომლობით შაჰნავაზმა მასთან საპატიო ტყვეობაში მყოფი უსინათლო ბაგრატ IV გაანთავისუფლა და ის კვლავ იმერეთის სამეფო ტახტზე ავიდა. მაგრამ მალე ურთიერთობა იმერეთის მეფესა და ოდიშის მთავარს შორის იმდენად გართულდა, რომ დაიწყო ოდიშ-იმერეთის ომი,

<sup>66</sup> ა. ტულუში, ვამეყ III დადიანი-იმერეთის მეფე. ფ. „ენგური“ 1999, №1.

<sup>67</sup> ა. ტულუში, ვახუშტის ერთი ცნობის გამო. ფ. „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1986წ. №3, გვ. 73-75.

<sup>68</sup> ა. ტულუში, დემეტრე გურიელის მეფობის თარიღისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III. №7, თბ. 1988, გვ. 165-167.



რომელიც გაუთავებელ მიხდომ-მოხდომებით, ერთმანეთს აოხრებოდა და გადაწვა-გადაბუგვით ხასიათდებოდა. ამ ომში, ლევან III, რომელსაც იმერეთის სამეფოსათვის, ლეჩხუმისა და საჭილაო-სამიქელაოს წართმევა სურდა, არაერთ ბრძოლაში დამარცხდა. სამეგრელოს ამ უნიჭო და მალემრწმენმა მთავარმა ჭყონდიდელ ეპისკოპოსის გაბრიელ ჩიქვანის რჩევით სალიპარტიანო და ოდიში ამ ყველაზე დიდი სათავადოს ფლობისათვის აუცილებელი ღიპარტიანის გვარი<sup>69</sup> და ამ გვარის სამფლობელო – სალიპარტიანო ჭყონდიდელის ძმას ლეჩხუმელ აზნაურ კაცია ჩიქვანს, რომელსაც 1668 წლიდან ლეჩხუმის სარდალ-მოურავის სახელი ეჭირა.<sup>70</sup> კაცია ჩიქვანმა მალე ოდიშის ვეზირის სახელოც იგდო ხელთ, დაამარცხა რა “დეისმას ომად” წოდებულ შეტაკებაში ოდიშის ვეზირი დეისმამა ჯოლია<sup>71</sup> და სამთავროს ფაქტიური გამგებელი შეიქმნა.

1672 წელს სამეგრელო თურქებმა დალაშქრეს, მათ გურიის მთავარიც ახლდა თავისი დაშქრით. თურქებმა ვერ აიღეს რუხის ციხე, სადაც ოდიშის მთავარი იყო გამაგრებული. ამ დროს სამეგრელოში მყოფი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის (1643-1713) ცნობით თურქებმა და გურულებმა უბოძა, რუხის ციხესთან ოთხი დღის დგომის შემდეგ ორი ათასზე მეტი ტყვე წაიყვანეს და დიდი ნადავლით წავიდნენ.<sup>72</sup>

ლევან III დადიანის გარდაცვალების (1680 წ) შემდეგ კაცია ჩიქვანი (გარდ.1681 წ) და მისი ძე გიორგი ჩიქვანი, რომელიც მამის მსგავსად ღიპარტიანის გვარს ატარებდა, რადგან ეს გვარი, სალიპარტიანოს ფლობის უფლებას იძლეოდა, სამეგრელოს ფაქტიური მმართველები შეიქმნენ. დადიანთა ძველი სამთავრო საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი,

<sup>69</sup> ა.ტულუში, გვარის სოციალური ფუნქცია ფეოდალურ საქართველოში. ე. „ცისკარი“, 1997, №8. გვ.130.

<sup>70</sup> ა.ტულუში, ჩიქვანთა გამთავრების ისტორიიდან სამეგრელოში, ე. „რიწა“, 1991, №1, გვ.138; მისივე: ლეჩხუმი, XVIII აუკუნის მეორე ნახევარში, ე. „მაცნე“, (ისტორიის... სერია), 1988, №1. გვ.82. მისივე: ვახუშტის ერთი ცნობის გამო, ე. „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1986, გვ.73-75.

<sup>71</sup> ა.ტულუში, ლევან III დადიანის ვეზირ დეუსმამას ვინაობისათვის, ე. „ფენიქსი“, 1996, №1, გვ.114.

<sup>72</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ.250.

მთავარი ლევან IV, სათამაშო თოჯინა იყო ყოვლისშემძლე ლიპარიტიანის ხელში. ამიტომ, 1694 წელს მან ტახტი მიატოვა და ოსმალეთში გაიხიზნა. ამით დამთავრდა დადიანთა ძველი საგვარეულოს მბრძანებლობის ხანა სამეგრელოში. სამთავრო ჩიქვანთა ხელში გადავიდა, მაგრამ გიორგი ჩიქვან-ლიპარიტიანს, იმისთვის რომ ოდიშის სამთავრო ტახტზე და სამთავრო (სახასო) ყმა-მამულებზე კანონიერი უფლება ჰქონოდა აუცილებელი იყო, რომ იმერეთის მეფეს მისთვის დადიანის გვარი ებოძებინა, რადგან მხოლოდ გვარი დადიანი იძლეოდა ოდიშის სამთავრო ტახტის, გვირგვინისა და სახასო ყმა-მამულების ფლობის უფლებას. როგორც ირკვევა, სწორედ ამ მიზნით შეირთო მან იმერეთის ფაქტიური გამგებლის (შემდეგ კი სულაც მეფის) გიორგი აბაშიძის ასული და თავისი ამ სიამამის დახმარებით იმერეთის მეფისაგან 1701 წელს მიიღო კიდევ სანუკუარი გვარი და ოდიშის მთავრადაც ეკურთხა.<sup>73</sup>

ლევან III დადიანი იმთავითვე მოექცა ნიჭიერი და ცბიერი პიროვნების, ცაგერელ-ჭყონდიდელ ეპისკოპოსს გაბრიელ ჩიქვანის გავლენის ქვეშ. ამ უკანასკნელმა, გაითვალისწინა რა ოდიშის ამ მთავრის მისწრაფება – დაუფლებოდა ლეჩხუმს, ურჩია მას, რომ სალიპარიტიანო – ეს ყველაზე დიდი სათავადო, რომლის კანონიერ ფლობელთა ლიპარიტიანთა საგვარეულო დიდი ხნის ამოწყვეტილი იყო, მემკვიდრეობით (ანუ გვარ-ლიპარიტიანის ბოძებით) მიეცა ლეჩხუმის სარდალ-მოურავ კაცია ჩიქვანისათვის, რომელიც ამ ეპისკოპოსის შმა იყო. ლევან III-მ კაცია ჩიქვანს ლიპარიტიანობა უბოძა.

ამ დროიდან დაიწყო ჩიქვანთა აღზევების ხანა სამეგრელოში, რაც უსასტიკესი შინა ომებით აღინიშნა, რადგან მდებარე აზნაურის კაცია ჩიქვანის ბატონობის არ მკადრე დიდ თავადურ მეგრულ საგვარეულოებს სასტიკად უსწორდებოდა ლეჩხუმის ლაშქრით ზურგ გამაგრებული კაცია ჩიქვან-ლიპარიტიანი, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მისი შვილი გიორგი. სწორედ ამ ბრძოლას შეეწირა რამდენიმე მძლავრი სათავადო სახლი, კერძოდ ანჯაფარიძეები (ანჯაფარიები), გოშოძეები

<sup>73</sup> ა. ტულუში, გვარის სოციალური ფუნქცია ფეოდალურ საქართველოში, გვ. 180.

(გოშუები), ქორთოძეები (ქორთუები) და ჯოლიები.

სამეგრელოში არსებული შინაური შფოთით ისარგებლეს ოდიშის მთავრის ურჩმა ხელდებულებმა-აფხაზმა თავადებმა შარვაშიძეებმა და ნებიერმა აფხაზურმა თემებმა. მათ ნელ-ნელა მეგრელთა მკვიდრი მიწაწყლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს ჯერ კელასურიდან კოდორამდე, შემდეგ კოდორიდან დალიძემდე და ბოლოს თვით ენგურამდეც კი. მიუხედავად ამისა ოდიშის მთავრების ხელისუფლება აფხაზებზე გარკვეულწილად მაინც ვრცელდებოდა და არანაირი აფხაზეთის სამთავრო 1810 წლამდე არ არსებულა.<sup>74</sup>

აფხაზთა მიერ მეგრული მიწების დაპყრობამ ამ მიწების დიდი ნაწილიდან ქართული მოსახლეობის აყრა და განადგურება და მათ ნამკვიდრალზე აფხაზთა ჩასახლება გამოიწვია. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ “გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს... უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდნენ ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდნენ. დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი.”<sup>75</sup>

1681 წლის დამდეგს გარდაიცვალა ლევან III. მისი ძე, ტახტის მემკვიდრე მანუჩარი, საპატიო ტყვეობაში ყავდა გურიის უზნეო მთავარს გიორგის, რომელიც თვითონ ესწრაფოდა სამეგრელოში გაბატონებას. სამეგრელო უმთავროდ იყო („ ოდიში იყო უპატრონოდ“), მაგრამ „კაცია ჩიქვანი იყო თავი და გამგე“. თუმცა იმავე წელს კაცია ჩიქვანიც გარდაიცვალა და მთელი ძალაუფლება სამთავროში მისი ძის გიორგი ჩიქვან-ლიპარიტიანის ხელში გადავიდა.

გიორგი გურიელმა მცირე ხნით, მაგრამ მაინც შეძლო ოდიშის სამთავროს ხელში ჩაგდება. ამასობაში იმერეთის უსინათლო მეფე ბაგრატიც გარდაიცვალა. იმერელ დიდებულებს კვლავ არჩილის გამეფება უფიქრიათ, მაგრამ როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს „ხონთქრის შიშით არჩილი ვერ ჩაიყვანეს და სხვა საბატონოს ეძებ-

<sup>74</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ა.ტულუში, აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის გაზ. „საქართველო“, 1993, №№ 19, 20, 21, 22.

<sup>75</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ.845.



დეს.<sup>76</sup> მათი არჩევანი მანუჩარ დადიანზე შეჩერებულადაა. გან ის იმერეთის მეფის დისშვილი იყო. მაგრამ ეს ამ უბედური უფლისწულის დაღუპვის მიზეზი შეიქნა.

გიორგი გურიელმა, რომელსაც იმერეთში გამეფების სურვილი ახრჩობდა ჯერ მანუჩარ დადიანი, რომელიც მისი სიძე იყო (ასულის ქმარი) მოაკვლევინა (ეს 1681-1682 წლების მიჯნაზე ჩანს მომხდარი), იმერეთის სამეფო ტახტიც იგდო ხელთ და მთელი დასავლეთი საქართველოს ხელმწიფე შეიქმნა.

მაგრამ „ოდიშართა სხნდათ იგი ვითარცა მესისხლე თვისი“ (რადგან ტახტის მემკვიდრე მიკლა) და ამიტომ სამეგრელოში ვერ შევიდა. იმერელი დიდებულებიც გადაემტერნენ გიორგი გურიელს, რადგან მის ყმობას არ კადრულობდნენ. ის ჩვენი ტოლია და „იმის ყმობას არ ვიკადრებთო“. მათ დესპანები აფრინეს ახალციხის ფაშასთან და შესთავაზეს: „ჩვენი ბატონიშვილი ქართლის მეფესა ჰყავსო და ლევან დადიანის შვილი თქვენა გყავსო. ესენი გავაბატონოთ“<sup>77</sup>

ოდიშელი უფლისწული, რომელიც ახალციხის ფაშას კარზე იზრდებოდა და რომელსაც ფ. გორგიჯანიძეს შეცდობით „ლევან დადიანის შვილი“ ეგონა, სინამდვილეში ლევან II დადიანის შვილიშვილი (ალექსანდრე დამბლადაცემულის შვილი) იყო.

ახალციხის ფაშამ იმერეთის მეფედ ალექსანდრე IV დასვა, სამეგრელოს მთავრად კი ლევან II-ის შვილისშვილი, რომელსაც როგორც პეტრე ჩხატარაიძის (ჩხატარაიშვილის) თხოვნებიდან ირკვევა ბეჟანი ერქვა.<sup>78</sup> ეს ამბავი 1682 წლის სექტემბერში მოხდა.

ბეჟან I დადიანი შესახებ სხვა ცნობა, გარდა იმისა რაც პეტრე ჩხატარაიძის სახოტბო თხოვნებაში („აღწერა სიმონეთის ომისა“) არის დაცული და ფარსადან გორგიჯანიძის ზემოთ დამოწმებული ცნობისა, არ გაგვაჩნია. 1683 წელს გიორგი III გურიელმა მეორედ დაიკავა იმერეთის სამეფო

<sup>76</sup> ფ. გორგიჯანიძე, ისტორია გვ. 69

<sup>77</sup> იქვე, გვ. 69

<sup>78</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. II. თბ. 1958, გვ. 190

ტახტი „შეწევნითა და თანადგომითა ოდიშისა და ლეჩხუმისა პატრონისა ბეჟანისათა“<sup>79</sup>

ბეჟან I დადიანს, როგორც ჩანს ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. ის 1683 წელსვე ჩანს გარდაცვლილი (თუ მოკლული).

გიორგი ლიპარიტიანმა, რომლის ხელიც შეიძლება ერიოს ახალი, კანონირი მთავრის სიკვდილში, ოდიშის სამთავრო ტახტზე დასვა ლევან III დადიანის უკანონო შვილი ლევან IV დადიანი, რომელიც სათამაშო თოჯინა იყო მის ხელში. „სახელით ოდენ იყო დადიანი ლევან, გარნა მოქმედი ყოვლისავე იყო ლიპარიტიანი“ – გვაუწყებს ვახუშტი.

უზომოდ გაძლიერებულმა გიორგი ლიპარიტიანმა „არღარა ინება ლევან დადიანი, განაძო იგი“. ეს 1692 წელს უნდა მომხდარიყო. ლევან IV ერთი ხანობა ქართლში იყო გახიზნული, შემდეგ კი სტამბოლში ჩასულა ტახტის დაბრუნებაში სულთნის შეწევნის იმედით. ამის ცდაში ყოფილა ის 1696 წელს,<sup>80</sup> რის შემდეგაც მის შესახებ ცნობები არა გვაქვს.

ლევან IV დადიანის ოდიშიდან გაქევის დღიდან გიორგი ლიპარიტიანის ერთადერთი საზრუნავი იყო ოდიშის სამთავრო ტახტზე და გვირგვინზე კანონიერი უფლების მოპოვება, რაც შესაძლებელი იყო ან სამეგრელოს რომელიმე მთავრის ასულზე დაქორწინების გზით ან იმერეთის მეფის მიერ გვარ დადიანის ბოძებით. ამიტომ მან თავისი უფროსი ძე კაცია დააქორწინა მარიამ დადიანზე, რომელიც ლევან III-ის ასული უნდა იყოს. მაგრამ უზომოდ პატივმოყვარე გიორგი ლიპარიტიანს სამთავრო ტახტი ჯერ შეიღისათვის არ ემეტებოდა, თვითონ სურდა სამთავრო გვირგვინის დაუფლება. ეს კი მხოლოდ იმერეთის მეფის მიერ დადიანად დასმის (გვარ დადიანის ბოძების) გზით იყო შესაძლებელი, რადგან იმ დროს სამეგრელოში, როგორც ირკვევა, გვარს ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა სოციალურ-სამართლებრივი დანიშნულება, რაც გულისხმობდა ამათუიშ სამ-

<sup>79</sup>. იქვე, გვ. 190

<sup>80</sup> ნ. ჯაველიძე, ოსმალთა ისტორიკოსი მექმედ ალა დასავლეთ საქართველოს შესახებ. თსუ შრომები, ტ. 250, აღმოსავლეთ მკვლევართა თბ. 1985





ფლობელოს, მამულის ან სხვა რამის ამა თუ იმ განსაკუთრებული გვარისადმი კუთვნილების აუცილებლობას. ოდიშის სამთავრო ტახტი, გვირგვინი და სახასო ყმა-მამული მხოლოდ გვარ დადიანის კუთვნილება შეიძლებოდა ყოფილიყო კანონიერად.

ამიტომ გიორგი ლიპარიტიანი გაშორდა თავის ცოლს, ცხრა შვილის დედას – სევდიან მიქელაძეს და შეირთო იმერეთის უგვირგვინო მბრძანებლის გიორგი აბაშიძის ასული თამარი. ამის შემდეგ იმერეთის მეფე სიმონისაგან (1698-1701), რომელიც გიორგი აბაშიძის სურვილის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა, გიორგი ჩიქვან-ლიპარიტიანისათვის გვარ დადიანის ბოძების სიგელის მიღება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

1701 წელს გიორგი ლიპარიტიანმა მართლაც მიიღო გვარ დადიანის ბოძების სიგელი, რის შემდეგ სამთავრო ტახტზეც ავიდა და სათავე დაუდო სამეგრელოს სამთავროში ჩიქვან-დადიანთა დინასტიას.

1702 წელს იმერეთის სამეფომ, ოდიშისა და გურიის სამთავროებმა თურქეთს ხარკის მიცემა შეუწყვიტეს, რაც მათ მიერ თურქეთის სულთნისადმი ყმობაზე უარის თქმას ნიშნავდა. ამას სტამბულმა საქართველოში დიდი დამსჯელი ლაშქრობებით უპასუხა. თურქთა ჯარები სამი მხრიდან შემოიჭრნენ დასავლეთ საქართველოში. ხმელეთით თურქთა ლაშქრის ნაწილი გურიაში შეიჭრა, ნაწილი კი იმერეთში, ზღვით კი სამეგრელოს შეუტიეს. ოდიშის მთავრის ზოგი ურჩი აფხაზი ფეოდალი თავისი რაზმებით თურქებს შეუერთდა სამეგრელოს დასალაშქრავად, მაგრამ აფხაზთა ძირითადი ნაწილი დამპყრობთა წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა.<sup>81</sup> დასავლეთ საქართველო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ, საბედნიეროდ, თურქთა სატახტოში, სტამბულში, იანიჩართა აჯანყებამ იფეთქა, მათ ტახტიდან ჩამოაგდეს სულთანი მუსტაფა II და ტახტზე მისი ძმა ახმედ III დასვეს. ახალი სულთანი იძულებული გახდა საქართველოში მყოფი თავისი ლაშქარი უკან გამოეწვია.

<sup>81</sup> ა. ტულუში, თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველთა და აფხაზთა ბრძოლის ისტორიიდან, უ. „რიწა“, 1987, №2, გვ. 272-273.



თურქებმა თავიანთი ციხიონი ჩააყენეს რუხისა და მის ციხეებში, აგრეთვე ანაკლიის ციხეში, რომელიც სახელდახლოდ ააშენეს.<sup>82</sup>

მაგრამ ოდიშის მთავრები არასოდეს შერიგებიან თურქთა ბატონობას. ოდიშის მთავარი ბექან II დადიანი (1714-1728) თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილი მედროშე იყო დასავლეთ საქართველოში. 1725 წელს ის ზურაბ აბაშიძესთან ერთად თურქთა წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდა, მაგრამ ეს აჯანყება ვერ განხორციელდა.<sup>83</sup> ესეც არ იყოს, თურქებს ბექან დადიანისათვის ვერ ეპატიებინათ ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ უკანდაუხეველი ბრძოლა. ამიტომ 1728 წელს თურქებმა ვერაგულად მოკლეს კიდევ ოდიშის ეს გულადი მთავარი.<sup>84</sup>

ოტია დადიანიც (1728-1758) მამის მსგავსად თურქთა ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა. 1730 წელს ის არ დაემორჩილა ფოთის ოსმალი ფაშას მოთხოვნას, მონაწილეობა მიეღო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის თავნება ადიღურ ტომების წინააღმდეგ ლაშქრობაში. XVIII საუკუნის 40-იან წლებში ოტია დადიანი იძულებული გახდა იმერეთის მეფე ეცნო უპირატეს ხელმწიფედ.

1757 წელს თურქთა წინააღმდეგ ხრესილის ველზე გამართულ ომში, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა, იმერეთის სამეფოს ლაშქრის გვერდით იბძოდა სამეგრელოს სამთავროს ლაშქარი, რომელსაც ოტია დადიანმა თავისი ძე, ტახტის მემკვიდრე უფლისწული კაცია დადიანი უსარდლა.

1758 წელს ოტია დადიანი გარდაიცვალა და ტახტი მისმა ძემ კაცია II დადიანმა დაიკავა. ურთიერთობა იმერეთის მეფესა და ოდიშის მთავარს შორის გართულდა და ამის მიზეზი ლეჩხუმისათვის ბრძოლა იყო. ლეჩხუმზე, რომელიც XVIII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან ოდიშის სამთავროს ხელში იყო, იმერეთის მეფეებს არასოდეს არ აუღიათ ხელი, მას შემდეგ რაც იმერეთის მეფე სოლომონ დიდმა თურქეთი

<sup>82</sup> იქვე, გვ. 273.

<sup>83</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 454.

<sup>84</sup> იქვე, გვ. 467.



ცხრაწლიანი (1757-1766) ომში დაამარცხა და ეს გამარჯვება 1667 წელს სტამბულში ხელმოწერილი ზავით დააგვირგვინა, ის ლეჩხუმისათვის ბრძოლაში ჩაება ოდიშის მთავართან.<sup>85</sup>

რუსები, რომლებიც ცდილობდნენ ყველა ქართული სახელმწიფოს ჩაბმას თურქეთის წინააღმდეგ ომში, შეეცადნენ იმერეთის მეფისა და ოდიშის მთავრის შერიგებას, მაგრამ ამაოდ. როგორც კი რუსთა ჯარმა, რომელიც 1769 წელს იქნა შემოყვანილი საქართველო დატოვა, სოლომონ მეფესა და კაცია II დადიანს შორის მიხდომ-მოხდომები განახლდა. 1773 წელს ოდიშის მთავარმა ლეჩხუმის მომიჯნავე რამდენიმე იმერული სოფელი და ციხე-სიმაგრე დაიკავა და რაჭა მოარბია. იმავე წელს მან უარი თქვა შეერთებოდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს სამეგობრო ხელშეკრულებას, რომლის პასუხად 1776 წლის დამდეგს სოლომონ I თავისი ღაშქრით სამეგრელოში შეიჭრა; რამდენიმე სიმაგრე აიღო. ოდიშის მთავარი იძულებული შეიქმნა მეფისათვის მორჩილება, ტყვეთა სყიდვის აკრძალვა აღეთქვა და უარი ეთქვა კათალიკოსისადმი ურჩობაზე, მაგრამ ლეჩხუმში მაინც შეინარჩუნა, ლეჩხუმის სარდალ-მოურავის სახელის ახვლედიანთა საგვარეულოს ნაცვლად გელოვანთა საგვარეულოსათვის გადაცემის გზით, რომელთა სახითაც ოდიშის მთავარმა მძლავრი დასაყრდენი შეიქმნა ამ სადაო კუთხეში.

1779 წლის მიწურულს სამეგრელოს აფხაზთა და მათ ჩრდილო-კავკასიელი თანამოძმეთა 12000-იანი ღაშქარი დაემუქრა. კაცია II დადიანმა დახმარება სთხოვა მეფე სოლომონს. ოდიშისა და იმერეთის გაერთიანებულმა ღაშქარმა სასტიკი მარცხი აგემა მომხდურებს რუხთან, სარალობეგის ველზე გამართულ ბრძოლაში.<sup>86</sup>

1788 წელს გარდაიცვალა კაცია II დადიანი და სამთავრო ტახტი მისმა უფროსმა ძემ გრიგოლ დადიანმა დაიკავა. იმერეთის მეფე დავითმა გადაწყვიტა ესარგებლა ოდიშის ახალი მთავრის სიტაბუკით (გამთავრებისას ის 18 წლისა იყო) და ოდი-

<sup>85</sup> გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 645.

<sup>86</sup> ა. ტულუში, რუხის ომი, ზუგდი., 1999.



შის სამთავროს კვლავ თავის ხელდებულ და მორჩილ სამეფო-ბელოდ გადაქცევა გადაწყვიტა. იმერთა მეფე სამეგრელოში შეიჭრა გრიგოლ დადიანმა თავი ღეჩხუმს შეაფარა. იმერეთის მეფემ ოდიშის მთავრად, გრიგოლის ძმა მანუჩარ II დადიანი დასვა. სამეგრელოს სამთავრო ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ მტრულ ბანაკად გაიყო; ერთნი მანუჩარ II უჭერდნენ მხარს, მეორენი კი ტახტწაგვრილ გრიგოლ დადიანს. ამ უკანასკნელის მხარეზე იყვნენ ღეჩხუმის სარდალ-მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი. მათ გადაწყვიტეს იმერთა მეფისათვის დაეპირისპირებინათ უფლისწული დავით არჩილის ძე ბაგრატიონი, რომელიც თავის პაპის მეფე ერეკლე II კარზე იზრდებოდა. ტახტწაგვრილ გრიგოლ დადიანისა და მხარდამჭერ ოდიშელ დიდებულთა მიერ მოწვეული ეს უფლისწული იმერეთში ჩავიდა, სადაც მას მიეგებნენ იმერეთის სამეფოს დიდებულები წერეთლები და წულუკიძეები. გრიგოლ დადიანმა თავისი მომხრე ოდიშელი თავადებისა და ღეჩხუმის ჯარით მათხოჯთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა იმერთა მეფე დავითი, რომელიც იძულებული შეიქმნა ახალციხის ფაშასთან ეპოვა თავშესაფარი. იმერეთის სამეფო ტახტი კი სოლომონ II სახელით დაიკავა უფლისწულმა დავით არჩილის ძე ბაგრატიონმა,<sup>87</sup> ოდიშის სამთავროს ტახტი კი გრიგოლ დადიანმა დაიბრუნა.

1790 წლის ივლისში ტახტწაგვრილი დავით მეფე თურქთა და ლეკთა ჯარით იმერეთში შეიჭრა, ზორეთთან გამართულ ბრძოლაში სძლია სოლომონ II-ს და იმერეთის სამეფო ტახტი დაიბრუნა, მაგრამ მოკლე ხნით. სოლომონ II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქართ, რომელიც მას ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ მოაშველა, მის დასახმარებლად დასძრა თავისი ლაშქარი - ოდიშის მთავარმაც. სოლომონ II თავისი მომხრე იმერელ თავადთა და ლეკთა დაქირავებული ჯარით ეკვეთა ტახტის მოცილეს ლომსთხევის ველზე და დაამარცხა ის. დავით მეფემ კვლავ ახალციხეს შეაფარა თავი, სოლომონ II-მ კი ტახტი დაიბრუნა.<sup>88</sup>

<sup>87</sup> მ. რეზვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ. 1989, გვ. 302.  
<sup>88</sup> მ. რეზვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ. 1989, გვ. 303.



იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანს შორის ძალიან მალე განხეთქილება ჩამოვარდა მის უპირველესი მიზეზი, როგორც ფიქრობენ, ლენხუმისათვის დავა იყო.<sup>89</sup>

სოლომონ II-მ გრიგოლ დადიანს მისი ძმა მანუჩარ დადიანი დაუპირისპირა, რომელიც კიდევაც გამთავრებული იქნა იმერეთის მეფის მიერ 1792 წელს. მანუჩარ II დადიანი შვიდი წელი იჯდა ოდიშის სამთავრო ტახტზე.<sup>90</sup> ოდიშის სამთავრო ტახტ დაკარგულმა გრიგოლ დადიანმა 1799 წელს შეძლო მხოლოდ დაებრუნებინა სამთავრო ტახტი, მაგრამ მისი ხელისუფლება სუსტი იყო, რადგანაც ლენხუმის სარდალ-მოურავი ქაიხოსრო გელოვანი, რომლის დახმარების წყალობით მოახერხა ხელახლა გამთავრება, ნიკო დადიანის (1780-1834) ცნობით “მძლავრობდა ყოველსა ოდიშ-ლენხუმსა”<sup>91</sup> ამ გარემოებას გრიგოლ დადიანმა თავი იმით დააღწია, რომ იმავე წელს მოაკვლევინა ქაიხოსრო გელოვანი.<sup>92</sup>

იმერეთის მეფემ 1802 წელს კიდევ ერთხელ შეძლო გრიგოლ დადიანის ტახტიდან ჩამოგდება და მის ნაცვლად ოდიშის სამთავროს მთავრად მისი უმცროსი ძმის ტარიელ დადიანის დასმა. ტახტწართმეულმა გრიგოლ დადიანმა, იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ რუსეთის გამოყენება განიზრახა. მალე ტახტი დაიბრუნა და 1803 წლის 2 დეკემბერს სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ სათხოვარ პუნქტებს მოაწერა ხელი. ამ დოკუმენტის ძალით სამეგრელოს სამთავროს შეზღუდული თვითმართველობის უფლება რჩებოდა. ოდიშის მთავარს რუსეთის ხელმწიფე ამტკიცებდა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში რუსეთის მხარეზე თავისი დაშქრის გამოყვანა ევალებოდა.

რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამ სამეგრელოს მთავრის ხელისუფლება განამტკიცა, რუსეთმა მას დაუმორჩილა გამდგარი თავადები.

<sup>89</sup> ნონა ჟველია, ოდიშის სამთავროს შიგა ქართული და საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, ქუთ., 1995, გვ., 59.

<sup>90</sup> АКТЫ Г. I (საბ. №760 დანართი); АКТЫ Г. II, საბ. №968.

<sup>91</sup> ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება., თბ. 1962. გვ. 59.

<sup>92</sup> იქვე, გვ. 190; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, III, თბ., 1967. გვ. 450.



1804 წელს გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრის, ლევან V-ის სრულასაკონებამდე -1810 წლამდე, დედოფალი ნინო ბაგრატიონი მართავდა ოდიშის სამთავროს.

ლევან V არხეინი და ფუქსავატი მთავარი იყო, ამიტომ სამთავროს საქმეებს მისი უსაზღვრო ნდობით აღჭურვილი, ჭკვიანი და იმ დროის კვალობაზე დიდად განათლებული მსაჯულთუხუცესი ნიკო დადიანი (დიდი ნიკო) განაგებდა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ (1834 წ.), ლევან V-მ სამთავროს მართვა-გამგეობა თავის შვილს, ტახტის მემკვიდრე დავით დადიანს გადააქისრა და ის "მოურავთა ზედა მოურავად" დანიშნა, 1840 წლიდან კი მთელი ხელისუფლებაც გადასცა.

დავით დადიანმა სამთავროს სრულ უფლებიან მმართველად გახდომისთანავე დაიწყო მთავრის ხელისუფლების განმტკიცებისკენ მიმართული ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმების განხორციელება. მან სამეგრელოს სამთავრო რვა მაზრად დაჰყო და მათ სათავეში ჩააყენა მდივანბეგები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციულ - აღმასრულებელი ხელისუფლებით.

მაზრის მდივანბეგებს მთავარი ნიშნავდა და ანთავისუფლებდა, რამაც გამორიცხა მემკვიდრეობითობა, რომელიც სამეგრელოს ძველ ადმინისტრაციულ სისტემას ახასიათებდა (მოურავის სახელო ძირითადად მემკვიდრეობით სახელოდ იყო ქცეული).

დავით დადიანმა მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა სამართალწარმოებისა და სამართლის დარგში. მის მიერ გამოცემული იქნა ახალი კანონები (განწესებანი), სადაც ზუსტად იყო განსაზღვრული სამთავროს ცენტრალურ და ადგილობრივ მოხელეთა ფუნქციები და უფლებები. ამ განწესებებს კორექტივი შეჰქონდათ სამეგრელოში გამოყენებულ კანონებში (ვახტანგ მეფის კანონებში), ასევე ჩვეულებით სამართალშიც.

დავით დადიანის პოლიტიკა, მისი გარდაცვალების შემდეგ გააგრძელა მისმა თანამეცხედრემ, დედოფალმა ეკატერინე ჭავჭავაძემ,<sup>93</sup> რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ აღიარა

<sup>93</sup> ხ. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 159.



მცირეწლოვანი მთავრის ნიკოლოზის მეურვედ. ოდიშის დედოფალ ეკატერინეს დაუპირისპირდა მაზლი, გრიგოლ დადიანის რომელიც თვითონ მიიღებოდა სამთავრო ტახტისაკენ, რაც მნიშვნელოვნად ძაბავდა საშინაო მდგომარეობას ოდიშის სამთავროში. ამასთან სამეგრელოს სამთავროს საზღვრები გადმოლახა თურქთა არმიამ, რომელსაც ომერ-ფაშა ედგა სათავეში. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა მდ.ენგურის მარცხენა ნაპირას, სოფელ კოკთან 1855 წლის 25 ოქტომბერს. რუსთა არმიის ნაწილებს სათავეში ედგა გენერალი ი. მუხრანელ-ბაგრატიონი, რომელიც სამეგრელოს სამთავროს ლაშქართან ერთად გმირულად ეკვეთა მტერს და დიდი ზიანი მიაყენა მას, მაგრამ თურქთა არმიის რიცხობრივი უპირატესობის გამო იძულებული შეიქნა უკან დაეხია. თურქმა დამპყრობლებმა სამეგრელოს დიდი ნაწილი დაიკავეს. დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე ლეჩხუმს გადავიდა. მიუხედავად თურქთა მთავარსარდლის მიერ არაერთგზის შეთავაზებისა, დაბრუნებულიყო ზუგდიდში და განეგრძო სამთავროს მართვა-გამგეობა, რაც თურქეთის ყმადნაფიცობის აღიარებას ნიშნავდა, ის მტკიცედ იდგა რუსეთის ერთგულებაზე.

რუსეთის არმიის მიერ ყარსის ციხე-სიმაგრის აღებამ თურქები აიძულა დაეცალათ სამეგრელო. უკანდახვეისას თურქები წვაუდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს, რაზედაც ხელი მიუწვდებოდათ. ცეცხლს მისცეს სამეგრელოს სამთავროს ცენტრი ზუგდიდი, სადაც აკაფული იქნა სამთავრო სასახლის დიდებული ბაღიც.

სამეგრელოს ლაშქარი, რომელსაც უფლისწული გრიგოლ დადიანი სარდლობდა მტერს არ აძლევდა მშვიდად და მწყობრად უკანდახვეის საშუალებას და მყისი თავდასხმებით დიდ ზიანს აყენებდა.

თურქთა განდევნის შემდეგ მეგრელმა თავადებმა და აზნაურებმა, თვით დედოფალმა, სამეგრელოს გლეხობა დამატებითი გადასახადებითა და ვალდებულებებით დაბეგრეს, რათა ომის დროს დაკარგული ამით აენაზღაურებინათ. ყოველივე ამან გლეხთა აღშფოთება და ამბოხი გამოიწვია.

გლეხთა დიდი აჯანყება სამეგრელოში 1856 წელს დაიწყო სალხინოსა და კიწიაში. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა მეჭურ-



ჭლე გლეხი უტუ თოდუა, რომელიც მართალ კაცობით იყო ცნობილი და ამიტომ მართალია თოდუას სახელით მოიხსენიებდნენ. აჯანყებულებს სხვადასხვა ადგილებში მეთაურობდნენ კონათოდუა, ლევან კვარაცხელია, უტუ მიქავა და სხვები. ამბოხებულთა გაერთიანებულ რაზმებს, რომელთა რაოდენობა 20000 კაცამდე აღწევდა, და რომელსაც ურდუმს უწოდებდნენ, ჯვარელი მჭედელი უტუ მიქავა ედგა სათავეში.

აჯანყებულები მოითხოვდნენ გლეხის გლეხის(კაცის კაცის) არსებობის აკრძალვას, და არა ბატონყმობის გაუქმებას, როგორც ჩვენს მეცნიერებაშია დღემდის მიღებული. თავად-აზნაურთა განუკითხავი მმართველობის შეცვლას ერთი, კანონიერი მმართველით; ყმების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვას, გადასახადების ზომიერებას; ყმისადმი ღმობიერ მოპყრობას; საკუთრების ბატონის თვითნებობაზე დამოკიდებულების მოსპობას და საკუთრების სავალდებულო ნორმის დაწესებას; სატანჯი იარაღების მოსპობას; ადათებისადმი პატივისცემას.

ვერც სამეგრელოს სამთავროს იმდროინდელმა ხელისუფლებამ (მმართველი, უფლისწული გრიგოლ დადიანი და სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი), ვერც დედოფალმა ეკატერინემ, რომელიც 1857 წლის აპრილში დაბრუნდა რუსეთიდან, ვერ შეძლეს აჯანყებულებთან საერთო ენის გამონახვა. დედოფალმა ეკატერინემ დახმარება ქუთაისის გუბერნატორს კოლუბიაკინს თხოვა.<sup>94</sup>

რუსეთის ხელისუფლებას ხელს აძლევდა ეს აჯანყება, როგორც სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისათვის საჭირო საბაბი და არაა გამორიცხული, რომ თვითონვე ყოფილიყო ინსპირატორი ამ აჯანყებისა. ამაზე უკეთეს მომენტს ვერ ინატრებდა რუსეთი თავისი მიზნის მისაღწევად და კოლუბიაკინი თავისი ჯარით სწრაფად შევიდა სამეგრელოში.

რუსის ჯარმა შხეფთან ალყა შემოარტყა აჯანყებულთა დიდ ლაშქარს, კოლუბიაკინმა ამბოხებულებს მოსთხოვა დაშლილიყვნენ. აჯანყებულთა მეთაურმა უტუ მიქავამ რუს დიდ მოხელეს აჯანყებული გლეხების მოთხოვნები გააცნო.

გენერალმა კოლუბიაკინმა შეძლო აჯანყებულების დაშლამინება და დაშლა. სამეგრელოს სამთავროში საქმის ვითარებ-

<sup>94</sup> Акты XII стр.252-253.





ის გამოსარკვევად მეფისნაცვალმა გამოავაზა თავის მოხსენებელი იპოლიტ დიკრუასი, რომელმაც უმოკლეს დროში წარადგინა მოხსენება, სადაც მიწასთან იყო გასწორებული სამეგრელოს სამთავრო ხელისუფლება, თვითონ დედოფალი ეკატერინე.<sup>95</sup>

დაიხვია რა ხელზე დიკრუასის ეს მოხსენება რუსეთის მთავრობამ სამეგრელოში რუსული მმართველობა შემოიღო. 1857 წლის 1 აგვისტოს სამეგრელოში შემოვიდა რუსეთის ჯარი და გამოქვეყნებულ იქნა მეფისნაცვლის ბრძანება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ უნდა შეიცვალოს სამეგრელოს სამთავროს არსებული ხელისუფლება სამეგრელოს საბჭოთი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იპოლიტ დიკრუასი. ამ საბჭოში შედიოდა ორი რუსი მოხელე, ორი მეგრელი თავადი და ერთი მეგრელი აზნაური. სამეგრელოს სამთავრო ამ საბჭოს უნდა ემართა მთავარი ნიკო დადიანის სრულწლოვანად გახდომამდე.<sup>96</sup>

დედოფალი ეკატერინე შვილების საკადრისად აღზრდის საბაბით გაწვეული იქნა პეტერბურგში.

სამეგრელოში რუსული მმართველობის შემოდგომამ დააფრთხო ოდიშის სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი აპარატი. თავად-აზნაურობამ მათი დედოფლის ეკატერინეს მხარდაჭერის და სამთავროს შენარჩუნების მიზნით კავკასიის მეფისნაცვალს გაუგზავნეს პეტიცია, რომელსაც 166 თავადი და 849 აზნაური აწერდა ხელს. მაგრამ სამეგრელოს სამთავროს გაუქმება უკვე საბოლოოდ ჰქონდა რუსეთს გადაწყვეტილი და ეს პეტიცია დარჩა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა.

1857 წლიდან 1867 წლამდე, სამთავროს გაუქმებამდე, სამეგრელოს განაგებდა ზემოხსენებული საბჭო. სამთავრო სახლის საქმეებს კი მცირეწლოვანი მთავრის მეურვე რაფიელ ერისთავი და სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი.

1867 წელს მთავარი ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი გახდა, რომელსაც რუსეთის მთავრობამ სამთავრო ტახტზე უარის თქმის სანაცვლოდ ერთი მილიონი რუბლი მისცა და სამეგრელოს სამთავროს არსებობა ამით დამთავრდა.

<sup>95</sup> К.Бороздин, Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия, с 1854-по 1861 г. СПб. 1885. стр.157-158.

<sup>96</sup> Акты XII стр.264-265.

## 2. სამეგრელოს სამთავროს სოციალური სახე

### ა) თავადი

ოდიშის სამთავროში, რომელშიც გარდა საკუთრივ სამეგრელოსი შედიოდა აფხაზეთი, სვანეთი და ლეჩხუმი. სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზე მთავრისა და სამთავრო სახლის წევრთა (უფლისწულთა) შემდეგ თავადები იდგნენ. საკუთრივ სამეგრელოში სათავადო გვარები იყო: დადიანი, ფაღვა, ჩიჩუა, ჩიქვანი/ჩიქოვანი, ქოჩაკიძე (ქოჩაკია), დგებია (დგებუაძე), მიქაძე, აფაქიძე(აფაქია), გოშაძე (გოშუა), მხეიძე (ხეცია), შელია, ჯოლია, ანჯაფარიძე (ანჯაფარია), ქორთოძე (ქორთუა). ზემოთხსენებული სათავადო გვარებიდან ზოგმა ჩიქვანებთან ბრძოლაში თავადობა დაკარგა და გააზნაურდა, ზოგი (მაგალითად ქორთოძეები) სულაც გაგლეხდნენ. აფხაზეთში სათავადო გვარები იყო შარვაშიძე (შარაშია, ჭაჭბა), ანჩაბაძე(ანბა), ემხვარი, ჩააბალირხუა (ჩაბალუხა), ინალიშვილი (ინალ-იფა ინალსკუა), ზაბშიფაძე (ძიაფშიფა), მარშანია და ჩქოტოძე(ჩქოტუა). სვანეთში თავადები იყვნენ დადიშქელიანი, გარდაფხაძე; ლეჩხუმში გელოვანი, ასათიანი, ყიფიანი.

თავადის დამოკიდებულების ხარისხს მთავართან, განსაზღვრავდა მისი ყმა-მამულის სიდიდე. რამდენად დიდი ყმა-მამულის მფლობელი იყო თავადი, იმდენად სუსტი იყო მისი დამოკიდებულება მთავრისადმი.

თავადი მთავრის ან უფლისწულის (ბატონიშვილის) ყმა იყო. თავადს თავისი პატრონი ყმა-მამულს უბოძებდა ერთგულების პირობით. ყმა-მამულ ნაბოძები თავისი პატრონის “სიტყვისა და ბრძანების” მორჩილი არ იქნებოდა და ორგულობაში იქნებოდა მხილებული, პატრონს ნაბოძები ყმა-მამულის ჩამორთმევის უფლება ჰქონდა. მართალია, ამ უფლების გამოყენება XVIII-XIX საუკუნეებშიც ხდებოდა, მაგრამ ძალიან იშვიათად, რადგან სათავადოთა წარმოშობა-გაძლიერებისდა კვალად თავადზე პატრონის გავლენა შემცირდა.

თავადთა დიდი ნაწილი საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდა ისინი შეადგენდნენ მთავრისა და უფლისწულის



ამაღას. მათ ხელში იყო უმთავრესი სახელოები რელიგიური მთავრისა და დედოფლის, ასევე უფლისწულების სიკვდილზე რაფიელ ერისთავი სამეგრელოს სამთავროს თავადების შესახებ წერს: “თავადებს მთავრის სასახლეში ეძლეოდათ მოხელეობა, ხოლო ბატონიშვილების ქვეშევრდომ თავადებს-თვით ბატონიშვილის სასახლეში ეძლეოდათ მოხელეობა”... თავადები გარდა იმისა, რომ ნაკისრ თანამდებობას ასრულებდნენ, თავიანთ ხელმწიფეს და უფლისწულს ახლდნენ ლაშქრობისას და ნადირობისას, ქორწილში თუ ქელებში. “იგივენი შეადგენდნენ თავის ბატონის ოჯახის წევრების საპატიო ამაღლას. როცა ესენი სადმე მიემგზავრებიან, მთავრთმევენ ხოლმე ცხენებს და დაუჭერენ უზანგს. ზოგჯერ ბატონები თავის თავადებს მძიმე საქმეს რასმე მიანდობენ და სხვაგან გზავნიან სამოციქულოდ“. თავადები “სხვა დროს თან ახლავან მთავარს და ბატონიშვილებს და ემსახურებიან როგორც კამერგერები, კამერ-იუნკრები და პაუები, ხან სუფრაზე, ხან სუფრის გარეშე.”<sup>97</sup>

გარდა იმისა, რომ თავადები ხშირად არა თუ ეურჩებოდნენ მთავარს (განსაკუთრებით ურჩნი იყვნენ აფხაზი თავადები), ზოგჯერ მის წინააღმდეგაც იქნებდნენ ხმაღს. ამასთან, თავადებს (განსაკუთრებით მეზობელ თავადებს) შორის შუღლი და მიხდომ-მოხდომა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ასეთი ქიშპი ხშირი იყო საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორისაც.

1709 წელს დაწერილ ფიცის წიგნში, რომელიც ძმებს კაცია და გიორგი ჩინუებს მიუციათ კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისათვის, ჩინუები მის უწმინდესობას პირობას აძლევენ, რომ აწი ჩვენი კაცი არ გავენებთო არც „მიხდომით, ან დაჭრით და სიკვდილით, ან წართმევითა და გაღაბვით.”<sup>98</sup>

### ბ) აზნაური

თავადის ქვემოთ წოდებრივი კიბის საფეხურზე იდგა აზნაური. თავადობა აზნაურთა ფენას XV საუკუნეში გამოეყო. აზნაურები ფეოდალური ფენის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი იყო, რომელნიც კუთვნილებისა და მიხედვით სამი სახისა

<sup>97</sup> კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, ტფ. 1927, გვ. 120-121.

<sup>98</sup> საქართველოს სიძველენი ტ. I წ. 1. გვ. 48.



იყო: სამთავრო (სახასო), საეკლესიო და სათავადო.

აზნაურთა ამ სამი სახიდან ყველაზე პრივილეგირებული სამთავრო ანუ სახასო აზნაურები იყვნენ, ისინი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე მათი სოციალური თანამოძმენი. ნივთიერი გაძლიერებისა და სოციალური ამაღლების შესაძლებლობა, მათ მეტი ჰქონდათ, ვიდრე საეკლესიო და მით უფრო სათავადო აზნაურებს. მთავრის სასახლეში მათ საკმაოდ დიდი სახელოები ეკავათ.<sup>99</sup>

ყველაზე ცუდ მდგომარეობაში სათავადო აზნაურები იყვნენ, რომელთა ქონებრივი და სოციალური დაწინაურება შეზღუდული იყო.

აზნაურები წვრილ ფეოდალთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ. ზოგ აზნაურს თითო-ოროლა გლეხიდა ყავდა, ზოგი სულაც უყმო იყო.<sup>100</sup> ეს მაშინ, როდესაც ზოგ შეძლებულ გლეხს თავისი გლეხიც (გლეხის გლეხი) ყავდა.

აზნაურს თავისი ბატონის წინაშე გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა. მისი, როგორც ყმის მოვალეობა იყო თავადის ან საეკლესიო ფეოდალის (ეპისკოპოსის, წინამძღვარის) ხლება ნადირობისას, სტუმრად წვევისას და განსაკუთრებით ლაშქრობისას.

აზნაური თავადს გარკვეულ გადასახადს უხდიდა. აზნაურის ყმა გლეხთა ნაწილს, სამთავრო გადასახადთან ერთად, სათავადო გამოსაღებიც მართებდა.<sup>101</sup>

ყველა აზნაურს ერთნაირი გადასახადი არ ემართა თავადის წინაშე. მაგალითად თავად ჩიხუების აზნაურ გვათუას, როგორც სოფელ ქვალონის სათავადო (საჩიხუო) გადასახადების ერთერთი სიიდან ჩანს, თოთხმეტი მანეთი ემართა. ამავე საბუთიდან, რომელიც XIX საუკუნის 50-იან წლებშია შედგენილი, ჩანს, რომ ამგვარი გადასახადი აზნაურ ხოჭოლაგებისთვისაც შეუწვრიათ ჩიხუებს, მაგრამ გამოძიებით დაუდგენიათ, რომ ისინი “ხარკის ძლევაშიდ” წინათ არ ყოფილან. მათ მხოლოდ

<sup>99</sup> Н.Бердзенишвили, Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв.) Тб. 1938. стр.38-39.

<sup>100</sup> ო.სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966. გვ.53.

<sup>101</sup> იქვე. გვ.59.



ყოველწლიურად სამი ქათამი და ორი ღანდი აბრეშუმი ემატებოდა.<sup>102</sup>  
 1616-1621 წლებს შორის შედგენილ “საცაიშლონ განმოსავ  
 ლისდაეთარში ნათქვამია, რომ ათმა აზნაური შვილმა “ზროხიანი  
 კარგი საჭმელი ...გვაჭამოს, რარიგადაც თავი ესახელებოდეს.”<sup>103</sup>

აზნაურობის ბოძება შეეძლო როგორც მთავარს, ასევე  
 თავადს და მსხვილ საეკლესიო ფეოდალს (ეპისკოპოსებს, დიდი  
 მონასტრების წინამძღვრებს). 1823 წელს, მაგალითად ბესარიონ  
 ჭყონდიდელმა, აზნაურობა უბოძა ინჩხურელ გლეხებს, დავით  
 და სიმონ გეგეჭკორებს. “შეგიწყალეთ და თავისუფალ გყოფთ  
 ყოველისავე საგლეხოსა გარდასახადისა და სამსახურისაგან  
 და დაგადგინეთ თავისუფალ აზნაურად, ვითარცა არიან სხ-  
 ვანი აზნაურნი, ყმანი ეკლესიისა ჩვენისანი.”<sup>104</sup>

აზნაურებს ეკავათ მაღალი თანამდებობები თავადის და  
 საეკლესიო ფეოდალების კარზე. მათ ეკავათ სათავადო და საეკ-  
 ლესიო ყმა-მამულის მოურავის სახელოები. აზნაური პირადად  
 თავისუფალი იყო, რომელსაც შეეძლო თავისი ბატონი მიეტოვე-  
 ბინა და სხვა თავადს ყმობოდა, მაგრამ გარდა ნასყიდისა, ყმა-  
 მამული ბატონისათვის უნდა დაეტოვებინა.<sup>105</sup> სწორედ ამგვარ,  
 სხვა ბატონთან ყმად მისულს უნდა გულისხმობდეს ის ხიზანი  
 აზნაური, რომელიც ერთ გვიანდელ (1868 წლის) დოკუმენტში  
 იხსენიება.<sup>106</sup>

თავადს და მით უფრო მთავარს შეეძლო აზნაურის სხვა  
 თავადისათვის “მირთმევა”. მაგალითად 1790-1799 წლებს შორის  
 გრიგოლ დადიანი თავის ძმას და ტახტის მოცილეს, მანუჩარ  
 დადიანს, მისი ძის-კაციასათვის “აზნაური შვილად” მიაართვა  
 “დავით ჩიქვანის შვილი ხუცესი სვიმონ, ბეჟანის შვილი ხო-  
 სია, მათის ყოველთა... შინაყმითა და გარეყმით” და მამულით.<sup>107</sup>

<sup>102</sup> ქუთაისის მუზეუმი, საბ.№456.

<sup>103</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ. 1970, გვ. 474.

<sup>104</sup> ქუთაისის მუზეუმი, საბ.№456.

<sup>105</sup> ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 62.

<sup>106</sup> ზუგდიდის მუზეუმი, ლიტერატურული არქივი, საბ. 1249.

<sup>107</sup> ქუთაისის მუზეუმი, საბ. 759.

(ისტორიის... სერია) №3, 1974, გვ. 145.

### გ) გლეხი

სამეგრელოს სამთავროს მოსახლეობის დიდ უმეტესობას, ცხადია გლეხები შეადგენდნენ. 1860 წლის აღწერის მიხედვით, სამეგრელოს სამთავროს მოსახლე 25.479 კომლიდან 22.614 კომლი ანუ თითქმის 89 მეასედი გლეხი იყო.<sup>108</sup>

სამეგრელოს სამთავროში გლეხები კუთვნილების მიხედვით იყოფოდნენ სამთავრო (ანუ სახასო), საბატონო (თავადის, აზნაურის) და საეკლესიო გლეხებად.

ფეოდალებზე დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით გლეხობა იყოფოდა ფენებად, რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ.

გლეხობის ზედა ფენას წარმოადგენდა მსახური. მსახური გარდამავალი ფენაა გლეხთა წოდებიდან აზნაურთა წოდებაზე. მკვლევართა უდიდესი ნაწილი მსახურს გლეხთა წოდებას მიაკუთვნებს, მაგრამ არის აზრი, რომლის მიხედვითაც მსახური არ არის გლეხი.<sup>109</sup>

ვახტანგ VI-ის კანონით მართლაც მსახურის სისხლი “გლეხის კაცის” სისხლზე ორჯერ მეტად არის შეფასებული.<sup>110</sup> თუ “გლეხის კაცის სისხლი თორმეტი თუმანია” (მუხლი 33), მსახურის სისხლი 24 თუმანს შეადგენს (მუხლი 32). მსახურთა უმეტესობა დაბეგრული იყო, ნაწილი კი დაუბეგრავე მსახური გვიანფეოდალურ ხანაში მებეგრე გლეხისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მის ვალდებულებებში არ შედიოდა მუშაობა,<sup>111</sup> მაგრამ XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან სამეგრელოში მას ეს ვალდებულებაც დაემატა.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით “ხვნა-თესვისა და მოსავლის დროს მსახური ვალდებულია თავისი ჯალაბით, თოხით, გუთნით და ხარებით მიეხმაროს თავის ბატონს.”<sup>112</sup>

გლეხთა წოდების მომდევნო ფენას ეკუთვნოდა აზატი

<sup>108</sup> ო.სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966. გვ. 67.

<sup>109</sup> ზ.რატიანი, მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაგებისათვის, ე. „მაცნე“

<sup>110</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბ. 1955. გვ. 58.

<sup>111</sup> ო.სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966. გვ. 79.

<sup>112</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1998. გვ. 28.

გლახობა, რომელსაც მეგრულად ფიოში (ანუ თავისუფალი) ერქვა.

ფიოში გლახთა პრივილეგიებულ ფენას წარმოადგენდა. ფიოში ანუ აზატი ერქვა საბატონო ბეგარა გამოსადებისაგან მთლიანად და ნაწილობრივ განთავისუფლებულ (ანუ იმდროინდელი საბუთების ენით რომ ვთქვათ “გარდასახად ამოკვეთილი”, “გარდასახად ამოწერილი”) გლახს.

გლახის გააზატება სამეგრელოშიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში ხდებოდა გლახის გარკვეული დამსახურებების გამო ბატონის წინაშე ან “ქრთამის” მეშვეობით.

1829 წელს ლევან V დადიანმა გააზატა თავისი ძიძის მეუღლე ქუჩუ კაკულია.<sup>113</sup> XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ლევან შარვაშიძემ, გააზატა ჯგებია შონია, რომელმაც ამის გამო თავის ბატონს “ქრთამი” მიართვა.<sup>114</sup>

მებეგრე გლახი სამეგრელოში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში გლახობის სხვა ფენებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო.

სამეგრელოში მებეგრე გლახი ფიოშისაგან (აზატისაგან) იმით განსხვავდებოდა, რომ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით მას ღორის გადასახადი ემართა.<sup>115</sup>

მებეგრე გლახს გარდა უმძიმესი გადასახადებისა ემართა ბაზიერობა, მზარეულობა, ტვირთის ზიდვა, ნადობა, ყანის მუშაობა, თიბვა, მკა, ყურძნის კრეფა და სხვა.

ოდიშის დედოფალ ანას 1796 წლის შეწირულობის წიგნში მარტვილის ტაძრისადმი, ერთერთ გლახს, გვარად მონიავას ემართა: 20 ჭკადირი ღვინო, 2 ღორი, 1 ქათამი, აგრეთვე მზარეულობა, ნადობა, ტვირთობა და სხვა.<sup>116</sup>

1621 წელს შედგენილი აფხაზეთის საკათალიკოსო დაფთრის მიხედვით ხიბულელ გლახ ხუტკუბია ქარცხიას ემართა “გოტკომური, 1 საკლავი და ერთი ქანდაქის ფასი საყანე ღორი,

<sup>113</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qdსაბ. №9218.  
<sup>114</sup> ზუგდიდის მუზეუმი, Zd-7.  
<sup>115</sup> ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966. გვ. 81.  
<sup>116</sup> საისტორიო არქივი, დ. 1448, საქმე 1560.

ბაზიერობა, ...ტვირთის ზიდვა, ყოველ დღე ყანის მუშაობა, ყურძნის კრეფა, თიბვა, მკა და ლაშქრობა.<sup>117</sup>

გლეხთა წოდების ყველაზე დაბალ ფენას მოჯალაბე ანუ მეგრულად დოღმახორე წარმოადგენდა. მოჯალაბე ბატონის სახლობის უშუალო მსახურია. ის ბატონის კარზე, მის ეზოში ცხოვრობს.<sup>118</sup> აქედანაა მიღებული მოჯალაბის მეგრული სახელიც. დოღმახორე მეგრულად გვერდით მცხოვრებს (ბატონის სახლის გვერდით მცხოვრებს) ნიშნავს. დოღმახორე (მოჯალაბე) უმიწაწყლო გლეხი იყო. ეს ჩანს იქიდან, რომ ბატონი მას უმიწოდ ყიდდა.

ერთ შეწირულობის წიგნში ნათქვამია: “შენგელია ქვემოდან მოვიყვანეთ და მოჯალაბეთ დავაყენეთ წინამძღვრისათვის და თუ წინამძღვარმა ინებოს და მისცეს, ბეგარა, როგორც სხვა გლეხს ხდებოდეს, ისე გარდაახდევინოს და იმსახუროს.”<sup>119</sup>

ამ საბუთიდან ჩანს, რომ მოჯალაბე უმიწო იყო და ამიტომ ბეგარა არ ემართა. სამაგიეროდ მას ვვალეობდა ბატონის სახლში ყველაზე ძნელი და დამამცირებელი სამუშაოების შესრულება.

კაცია II დადიანის შეწირულობის წიგნში საირმის უდაბნოსადმი, რომელიც 1766 წელსაა შედგენილი ნათქვამია: “მამადედა ჩემს მოჯალაბედ დაესახელებინათ ჭიხვარია ძაღლუტა და უდაბნოსათვის შეეწირათ მოსამსახურეთ საფქვაჲ-საცხეხვათ და პირუტყვის მოსავლელად და პურის მრჩეველად”<sup>120</sup>

მოჯალაბეს შეექმლო მებეგრე გლეხთა ფენაში გადასულიყო, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ბატონის წინაშე დიდი დამსახურება.

დეკანოზ გერმანე ელიავას 1791 წლის შეწირულობის წიგნში მარტვილის ტაძრისადმი ვკითხულობთ: “დედულა ფირცხალავა მოჯალაბეთ მყვანდა, მაგრამ მისი ტკბილათ მსახურებისათვის მოჯალაბეობისაგან გამოვიყვანე და მებეგრე გლეხად დავასახლე.”<sup>121</sup>

<sup>117</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ. 1970, გვ. 414.  
<sup>118</sup> მანანა სანაძე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ. 1979, გვ. 103.  
<sup>119</sup> ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 158-161.  
<sup>120</sup> ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 90.  
<sup>121</sup> ქუთაისი მუზეუმი, საბ. 747.





გლექთა ის კატეგორია, რომელსაც იმერეთსა და გურთ-  
 აში მოსახლე ერქვა, სამეგრელოში მოინალეს სახელდითი  
 ცნობილი.<sup>122</sup>

არაა სწორი მოსაზრება, რომლის მიხედვით მოინალე მე-  
 ბეგრე გლექია, რომლის დამადასტურებელი არა ერთი დოკუ-  
 მენტი დაიმოწმა მანანა სანაძემ.

მოინალე საბატონო მიწაზე მოსახლე გლექი იყო. დოლ-  
 მახორესა და მოინალეს შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ  
 თუკი დოლმახორე უშუალოდ ბატონის სახლს, მის ოჯახს ემ-  
 სახურება, მოინალე საბატონო მეურნეობის სხვადასხვა დარგს,  
 ვენახს, სათევზო ტბორებს და მდინარეებს, ჯოგების საღობებს,  
 ჭურ-მარანს და სხვა რამეს.

მებეგრე გლექები სამართლებრივი თვალსაზრისით სხ-  
 ვადასხვა სახისანი იყვნენ. მკვიდრი (ანუ ძველთაგანვე ბატო-  
 ნის საკუთრებას რომ წარმოადგენდნენ), ნასყიდი, მთავრისგან  
 ან სხვა დიდი ფეოდალისაგან ნაწყალობევი, ეკლესიას შეწირ-  
 ული და მიწობილი ანუ ხიზანი, რომელსაც სამეგრელოში სტუ-  
 მარიც ერქვა და მინანდვიც. ეს იყო ერთი მებატონიდან მეო-  
 რესთან გაქცეული გლექობა. 1682 წელს “სადადიანო კაცი”  
 გვარად ეჯიბია ფარემუზ ანთიას ყოლია “მინანდვი”.<sup>123</sup>

დ) ფეოდალური საკუთრების სახეები

მიწაზე და ყმა-გლექზე ფეოდალის საკუთრების იერარ-  
 ქიულობას განსაზღვრავდა თვით ფეოდალური საზოგადოებ-  
 ის იერარქიულობა.

გვიანი ფეოდალიზმის ხანის სამეგრელოში, ისევე როგორც  
 მთელს საქართველოში საკუთრების გაბატონებულ სახეს დან-  
 აწილებული საკუთრება წარმოადგენდა.

მთავარს შეეძლო ნებისმიერი თავადისათვის ყმა-მამულის  
 ჩამორთმევა მისი მხრიდან ორგულობისა და დალატის შემთხ-  
 ვევაში.

1789 წელს ლეჩხუმის მოურავთ-მოურავი ქაიხოსრო  
 გელოვანისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში გრიგოლ დადიანი

<sup>122</sup> მანანა სანაძე, გლექობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში,  
 თბ. 1979, გვ. 109.

<sup>123</sup> ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. თბ.  
 1921, გვ. 79.



წერს: “იოანე ჩიქვანბარისი ც შემძლებელი იყო დიად დიდი ორგულ-  
ლობა გამოიჩინა სიტყვით, ქცევითა და საქმით და ამისათვის  
რომელიც ჩვენ მიერ წყალობა ქონდა და ან მამის ჩემის ყოველ-  
ღივესგან ხელ აღებული ვამყოფეო და განვაგდეო.”<sup>124</sup>

მაგრამ, თუკი მთავრისგან ესოდენი რისხვა არ ქონდა დამ-  
სახურებული თავადს შეეძლო მთავრის ნაწყალობევი ყმა-მამუ-  
ლი გაეყიდა.

მთავრის უშუალო საკუთრებას წარმოადგენდა სახასო (ანუ  
სამთავრო) ყმა-მამული. საკუთარი, სათავისთავო საკუთრება  
გააჩნდა დედოფალსაც და ამას სადედოფლო ეწოდებოდა. მა-  
გალითად 1790 წელს, გრიგოლ დადიანმა თავის ახალშერთულ  
მეუღლეს, ნინოს სადედოფლო ადგილ-მამულად გადასცა საჭ-  
ილაო და ხორგა “აქმყოფის თავადის შვილიანად, აზნაურ-გლეხ-  
იანად.”<sup>125</sup>

XIX საუკუნის დამდეგის სამეგრელოში შეიქმნა საუ-  
ფლისწულო ნამთავრალი მანუჩარ დადიანისათვის ყმა-მამულის  
გამოყოფის შედეგად.

სამეგრელოში, როგორც ირკვევა, საერთო სათავადო  
საკუთრებასთან ერთად არსებობდა თითოეული თავადის სათა-  
ვისთავო ქონება (ყმა და მამული). 1796 წელს გრიგოლ დადიანის  
წყალობის წიგნი დავით, დევისმამა და ზურაბ ფაღავებისადმი,  
ნათქვამია: “ვისმინეთ ვედრება თქვენი და თქვენი სათავისთავო  
მამისგულის კაცის საურის ამოწერა გვთხოვეთ, რომელშიც სხვა  
ფაღავა არ ურევია და საკუთარი თქვენი არის.”<sup>126</sup>

გარდა ნაწყალობევი ყმა-მამულისა თავადს და აზნაურს  
ქონდა დამოუკიდებელი მონაგარი (უფრო ნაყიდი) ყმა-მამული,  
რომელიც მის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. მაგალითად,  
როცა აზნაური ნაყიდ ან სხვა გზით შეძენილ ყმა და მამულს  
ასხვისებდა, მის ბატონს მთავარს, თავადს ან ეკლესიას “ხელი  
არ ქონდა.”<sup>127</sup>

მამულის ბოძება ბატონის მიერ თავისი ყმისათვის ხდებო-  
და ორი სახით:

<sup>124</sup> ზუგდიდის მუზეუმი, Zd-13.  
<sup>125</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ. №2252 ფურც. 19.  
<sup>126</sup> ქუთაისი მუზეუმი, საბ. 1337.  
<sup>127</sup> ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან,  
თბ., 1966. გვ. 107.

1. სასარგებლოდ და სახმარად;
2. საკუთრად

1826 წელს ოტია და გიორგი ჯაიანების მიერ ჭაჭიები-სათვის მიცემული წყალობის წიგნში, ნათქვამია, რომ “თქვენ გვეყვდრეთ მისაკუთრება იმ ადგილ-მამულისა, ტყე-ველთა, სახნავ-სათესთა, რაც ჩვენი მამებისგან სასარგებლოდ და სახმარათ გბოძებიათ ერთგულის სამსახურისათვის.”<sup>128</sup>

გლეხს გარკვეული ოდენობის მიწა ეკუთვნოდა, ამიტომაც სოციალური ტერმინი გლეხი მიწის გარკვეული ოდენობის აღმნიშვნელ სიტყვადაც იყო სამეგრელოში ქცეული. 1786 წელს კაცია II დადიანის მიერ დეისმა ჩიჩუასთვის ბოძებულ წყალობის წიგნში ნათქვამია, რომ ლოლუას “თავისი მოძმის ნაწიშივილისაგან ნახევარი გლეხი მიწა, წყალი და მამული, რაც ერგებოდეს... მიბოძებია.”<sup>129</sup>

საგლეხო მამულის უშუალო მესაკუთრედ გამოდიოდა ან მთავარი (თუკი სახასო გლეხი იყო), ან თავადი (თუ გლეხი უშუალოდ თავადის ყმა იყო), ან ეკლესია (თუკი საეკლესიო ყმა იყო), ან აზნაური (თუკი გლეხი უშუალოდ აზნაურის კუთვნილი იყო).<sup>130</sup>

მართალია, რუსი მოხელე კ.ბოროზდინი გვაუწყებს, რომ სამეგრელოში “მებატონეს შეუძლია თავისი ყმა აყაროს ერთი ადგილიდან და მეორე ადგილზე დაასახლოს, მხოლოდ საჭიროა ორთავე მხარის თანხმობა,”<sup>131</sup> მაგრამ როგორც 1849 წელს სამეგრელოს უზენაესი სასამართლოდან სუჯუნის მაზრის მდივანბევისათვის მიუწერიათ, მებატონეს “ნება არა აქვს, რომ აყაროს ძირი საცხოვრებელიდან, და თუ მიცემა უნდა, თავის ძირი საცხოვრებელიდანაც მისცესო”<sup>132</sup>

მაგრამ ეს კანონი ხშირად ირღვეოდა და გლეხის გაყიდვა ხდებოდა როგორც “ადგილობრივ” (ანუ აუყრელად) ისე “აყრილად”.<sup>133</sup>

<sup>128</sup> საისტორიო არქივი, ფ.1448, საქმე 1302.

<sup>129</sup> ქუთაისი მუზეუმი, საბ. №1271.

<sup>130</sup> ო.სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966. გვ.109.

<sup>131</sup> კ.ბოროზდინი, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ.62.

<sup>132</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, საბ. №241. ფურც. 31.

<sup>133</sup> ზუგდიდის მუზეუმი, დოკ. №7568.



გლეხს უფლება ქონდა ეყიდა მიწა. კორნელი ბორჯღაძული  
 ნი გვამცნობს, რომ “ხშირად თვითონ მემამულე, გლეხის მუხა  
 ტონე, მიჰყიდის ხოლმე...გლეხს მამულს და ნასყიდობის  
 ქაღალდს აძლევს.” მისივე ცნობით “გლეხის უძრავ ქონებას  
 მაშინდელი სასამართლო იფარავდა.”<sup>134</sup>

კბოროზდინის ეს ცნობა დოკუმენტებით დასტურდება.  
 1812 წელს დათიკა ჩიქვანისაგან “ადგილ-მამული” იყიდა მის-  
 მა “კაცმა” (მისმა ყმამ) კ. კიკალეიშვილმა.<sup>135</sup>

ე) საგლეხო ვალდებულებანი

საგლეხო ვალდებულებანი ოდიშის სამთავროს არსებო-  
 ბის მთელ მანძილზე ცხადია ერთგვარი არ იყო, რომელიც დრო-  
 თა განმავლობაში იცვლებოდა და ეს ვალდებულებები ძირი-  
 თადად ორი სახისა იყო:

1. შრომითი ვალდებულებანი;
2. გადასახადები.

შრომითი ვალდებულება ნაირგვარი იყო. ეს იყო სამინდ-  
 ვრე სამუშაოები (მუშაობა რომელიც ზოგს ყოველდღიურად  
 მართებდა, ზოგს კვირაში 6 დღეს, ზოგს 5, ზოგს 3, ზოგსაც 2  
 დღე); ყანობაი ანუ ყანაში მუშაობა თოხნა, მარგვლა, პურის მკა,  
 მცეხველობა, თიბვა, ყურძნის კრეფა, ნადობა ანუ “ყანის შვე-  
 ლაი”; აგრეთვე მოინალობა (ანუ მომსახურება), შინაყმობა,  
 მეჯინიბობა, ბაზიერობა, ტვირთის ზიდვა, თევზობაი, პირუტყვის  
 შენახვა და სხვა.

გარდა ამისა XVIII-XIX საუკუნეთა დოკუმენტებში იხსე-  
 ნიება ისეთი საგლეხო ვალდებულებანი, როგორცაა ფარეშობა,  
 მზარეულობა, ქეშიკობა, მეციხოვნება, კალატოზობა, ხაბაზო-  
 ბა, მელომისრცხილეობა, პურის ღეწვა, ხეზე გასვლა, ნიგოზის  
 რეკვა, ცხენის ხედნა და სხვა.

განსაკუთრებით მძიმე ვალდებულებას წარმოადგენდა  
 მასპინძლობა, რომელსაც სამეგრელოში გოჭკომური (XIX  
 საუკუნეში ოჩამური) ერქვა.

ზოგი მკვლევარი მასპინძლობას აიგივებს ისეთ ინსტი-  
 ტუტებთან, როგორც იყო “მესადგომეობა”, შინ ცხენისა და

<sup>134</sup> კ.ბოროზდინი, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ.62.  
<sup>135</sup> ქუთაისი მუზეუმი, საბ. №903.

კაცის ჩადგომა”,<sup>136</sup> რაც ჩვენი აზრით არ არის სწორი, რადგან “მესადგომეობა”, “შინ ცხენისა და კაცის ჩადგომა”, რამდენადაც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, გადასახადის ურჩ გადამხდელის ან ვალის არგადამხდელის წინააღმდეგ მიმართული პოლიციური ღონისძიება იყო და არა მუდმივი ვალდებულება (შინ ჩადგომა ბოქაულის ჩადგომას გულისხმობდა).

სამეგრელოს სამთავროში გადასახადებიც მრავალგვარი იყო. ასეთი იყო: საუდიერო, ძღვენი, საქორწილო, საჩექმე, საქერიო, სამეჯინიბო, საბაზიერო, საციხო, ობატკური, სამაჭრობო და სხვა, ხოლო რაც შეეხება ფულად გადასახადს, ის XVI- XVIII საუკუნეთა სამეგრელოს სამთავროში ძალიან უმნიშვნელო იყო, რადგან ფული, სამთავროში ნაკლებად ტრიალებდა, მხოლოდ XIX საუკუნის შუახანებიდან გაიზარდა ფულადი გადასახადების წილი.

<sup>136</sup> ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966. გვ. 130.

**სამეგრელოს მთავართა  
ქრონოლოგიური  
სია**

- |   |                        |
|---|------------------------|
| 1. ლევან I დადიანი                                      | 1545-1572              |
| 2. გიორგი III დადიანი                                   | 1572-1573              |
| 3. მამია IV დადიანი                                     | 1573-1578              |
| 4. გიორგი III დადიანი                                   | 1578-1582 (მეორედ)     |
| 5. მამია IV დადიანი                                     | 1582-1596 (მეორედ)     |
| 6. მანუჩარ I დადიანი                                    | 1596-1611              |
| 7. ლევან II დადიანი                                     | 1611-1657              |
| 8. ალექსანდრე დადიანი                                   | 1657 წლის მარტი-აპრილი |
| 9. ვამეყ III დადიანი                                    | 1657-1658              |
| 10. ლიპარიტ III დადიანი                                 | 1658 წ. მცირე ხნით     |
| 11. ვამეყ III დადიანი                                   | 1658-1661 (მეორედ)     |
| 12. ლევან III (შამდავლე) დადიანი                        | 1661-1681              |
| 13. გიორგი გურიელი                                      | 1682 წ.                |
| 14. ბეჟან I დადიანი                                     | 1682-1683 წ. დამდეგი   |
| 15. ლევან IV დადიანი                                    | 1683-1692/93           |
| 16. უმთავრობის (გიორგი ლიპარიტიანის მბრძანებლობის) ხანა | 1692/93-1701           |
| 17. გიორგი IV დადიანი                                   | 1701-1709              |
| 18. კაცია I დადიანი                                     | 1709-1710              |
| 19. გიორგი IV დადიანი                                   | 1710-1715              |
| 20. ბეჟან II დადიანი                                    | 1715-1728              |
| 21. ოტია დადიანი  | 1728-1758              |

- |                               |                    |
|-------------------------------|--------------------|
| 22. <i>კაცია II დადიანი</i>   | 1758-1788          |
| 23. <i>გრიგოლ დადიანი</i>     | 1788-1792          |
| 24. <i>მანუჩარ II დადიანი</i> | 1792-1799          |
| 25. <i>გრიგოლ დადიანი</i>     | 1799-1802 (მეორედ) |
| 26. <i>ტარიელ დადიანი</i>     | 1802               |
| 27. <i>გრიგოლ დადიანი</i>     | 1802-1804 (მესამე) |
| 28. <i>ნინო დედოფალი</i>      | 1804-1811 (შვილის, |
- ლევან V-ის მცირე წლოვნობის დროს სამთავროს მარ

თავდა, როგორც მისი მეურვე)

- |                            |   |
|----------------------------|---|
| 29. <i>ლევან V დადიანი</i> | 1811-1840 (ფორმალურად<br>1804წლიდან გარდაცვალებამდე – 1846 წლამდე)  |
| 30. <i>დავით დადიანი</i>   | 1840-1853 (ფორმალურად<br>გამთავრდა 1846 წელს)   |
| 31. <i>ნიკო დადიანი</i>    | 1853-1867 (მისი მცირე<br>წლოვნობის გამო 1853-1857 წლებში სამთავროს მარ-<br>თავდა დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე), |

სამეგრელოს მთავართა  
 ქრონოლოგიური  
 სია

- |                                   |                        |
|-----------------------------------|------------------------|
| 1. ლევან I დადიანი                | 1545-1572              |
| 2. გიორგი III დადიანი             | 1572-1573              |
| 3. შამია IV დადიანი               | 1573-1578              |
| 4. გიორგი III დადიანი             | 1578-1582 (მეორედ)     |
| 5. შამია IV დადიანი               | 1582-1596 (მეორედ)     |
| 6. მანუჩარ I დადიანი              | 1596-1611              |
| 7. ლევან II დადიანი               | 1611-1657              |
| 8. ალექსანდრე დადიანი             | 1657 წლის მარტი-აპრილი |
| 9. ვამეყ III დადიანი              | 1657-1658              |
| 10. ლიპარიგ III დადიანი           | 1658 წ. მცირე ხნით     |
| 11. ვამეყ III დადიანი             | 1658-1661 (მეორედ)     |
| 12. ლევან III (შამადავლე) დადიანი | 1661-1681              |
| 13. გიორგი გურიელი                | 1682წ.                 |
| 14. ბექან I დადიანი               | 1682-1683 წ.           |
| 15. ლევან IV დადიანი              | 1683-1692/93           |
| 16. უმთავრობის ხანა               | 1692/93-1701           |
| 17. გიორგი IV დადიანი             | 1701 – 1709            |
| 18. კაცია I დადიანი               | 1709 – 1710            |
| 19. გიორგი IV დადიანი             | 1710 – 1714 (მეორედ)   |
| 20. გაბრიელ ჭყონდიდელი            | 1714                   |
| 21. ბექან II დადიანი              | 1714 – 1728            |
| 22. ოგია დადიანი                  | 1728 – 1758            |
| 23. კაცია II დადიანი              | 1758 – 1788            |
| 24. გრიგოლ დადიანი                | 1788 – 1792            |
| 25. მანუჩარ II დადიანი            | 1792 – 1799            |
| 26. გრიგოლ დადიანი                | 1799 – 1802 (მეორედ)   |
| 27. ტარიელ დადიანი                | 1802                   |
| 28. გრიგოლ დადიანი                | 1802 – 1804 (მესამედ)  |



29. ნინო დედოფალი 1802 –1811 (შვილის –  
ლევან V-ის მცირე წლოვნობის დროს სამთავროს  
მართავდა, როგორც მისი მეურვე)
30. ლევან V დადიანი 1811-1840 (ფორმალურად 1804  
წლიდან)  
გარდაცვალებამდე , 1846 წლამდე)
31. დავით დადიანი 1840-1853 (ფორმალურად  
გამთავრდა 1846 წელს)
32. ნიკო დადიანი 1853-1867 (მისი მცირე წლოვნობის  
გამო 1853-1857 წლებში სამთავროს მართავდა  
ეკატერინე ჭავჭავაძე , 1857-1867 წლებში კი რუსეთის  
ხელისუფლების დანიშნული მმართველი და მასთან  
არსებული საბჭო. <sup>137</sup>

---

137. აბ. გულუში, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და  
ადგილობრივი მმართველობა, წიგნში „სამეგრელო,  
კოლხეთი, ოდიში, თბ.1999, გვ.251)

